

ტექნიკური რეგლამენტის - „წყლის სინჯის აღების სანიტარიული წესების“ დამტკიცების შესახებ

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 103-ე მუხლის პირველი, მეხუთე ნაწილების, 104-ე მუხლის მეორე ნაწილის, და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი - „წყლის სინჯის აღების სანიტარიული წესები“.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წყლის სინჯის აღების სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 22 იანვრის N15/ნ ბრძანება.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2014 წლის 3 იანვრის
N 26 დადგენილებით

ტექნიკური რეგლამენტი

წყლის სინჯის აღების სანიტარული წესები

თავი I **გამოყენების სფერო**

მუხლი 1

1. წინამდებარე სანიტარული წესები შემუშავებულია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და ვრცელდება ნებისმიერი ტიპის წყლებზე: ზედაპირული, მიწისქვეშა წყლის ობიექტების წყლები, სასმელ-სამეურნეო, ჩამდინარე წყლები, ატმოსფერული ნალექები (წვიმა, თოვლი, სეტყვა).

2. ეს სანიტარული წესები ადგენს მოთხოვნებს წყლის სინჯების აღებაზე, ტრანსპორტირებაზე, შენახვასა და კონსერვაციაზე, წყლის ფიზიკური თვისებების, ქიმიური შედგენილობის, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური და რადიოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრის მიზნით.

3. სანიტარული წესები განსაზღვრავს სხვადასხვა ტიპის წყლების სინჯის აღების ადგილსა და სიხშირეს, აღებისათვის საჭირო ჭურჭლის მომზადებისა და მოწყობილობების შერჩევას წესებს.

4. სანიტარულ წესებში მოცემულია სინჯის აღების, დამუშავების, შენახვისა და კონსერვაციის მეთოდები, მოთხოვნები სინჯის აღების შედეგების გაფორმებასა და სტატისტიკურ დამუშავებაზე, მათი ლაბორატორიაში მიღების წესებსა და აგრეთვე სინჯის აღებისას უსაფრთხოების წესების დაცვაზე.

5. სანიტარული წესები განკუთვნილია შესაბამისი უფლებამოსილების ქმონე სამსახურისათვის.

თავი II **ტერმინები და განსაზღვრებები**

მუხლი 2

1. გრუნტის წყლები – უდაწნეო მიწისქვეშა წყლები, რომელიც განლაგებულია პირველი წყალგაუმტარი შრის ზედაპირს ზემოთ, მათი კვებისა და გავრცელების არე თანხვედრილია.

2. წვიმის წყლები – ატმოსფერული ნალექებიდან წარმოქმნილი წყლები, რომელიც ჯერ კიდევ არ შეიცავს ნიადაგის ხსნად ნივთიერებებს.

3. სინჯის უწყვეტი აღება – წყლის მასიდან სინჯის აღების უწყვეტი პროცესი.

4. სინჯის აღება – წყლის მასის გარკვეული ნაწილის აღების პროცესი, განსაზღვრული მახასიათებლებისა და თვისებების გამოსაკვლევად.

5. სინჯის პერიოდული აღება – წყლის მასაში ცალკეული სინჯების აღების პროცესი.

6. სინჯი – წყლის განსაზღვრული მასის გარკვეული ნაწილი, უწყვეტად ან პერიოდულად აღებული სხვადასხვა მახასიათებლების კვლევის მიზნით.

7. სინჯამდები – წყლის სინჯის უწყვეტი ან პერიოდული აღებისათვის განკუთვნილი ხელსაწყო, განსაზღვრული მახასიათებლებისა და თვისებების გამოკვლევის მიზნით.

8. შედგენილი სინჯი – ცნობილი პროპორციებით შერეული ორი ან მეტი სინჯი ან მათი ნაწილები გასაშუალებული შედეგების მისაღებად. პროპორციების სიდიდე ჩვეულებრივ დაფუძნებულია დროის ან ნაკადის სიჩქარის გაზომვებზე.

9. წერტილოვანი სინჯი – წყლის მასიდან ცალკეულად აღებული, დამოუკიდებელი (დროსა და/ან ადგილთან მიმართებაში) სინჯი.

10. სინჯის აღების წერტილი – სინჯის აღების ადგილზე ზუსტად დაფიქსირებული ადგილმდებარეობა.

11. სინჯის ავტომატური აღება – სინჯის აღების პროცესი, რომლის დროსაც სინჯის აღება წარმოებს უწყვეტად ან დროის გარკვეულ შუალედში, ადამიანის მონაწილეობის გარეშე, წინასწარ განსაზღვრული პროგრამის თანახმად.

12. ბიომასა – მოცემულ წყლის ობიექტში ცოცხალი ნივთიერების საერთო მასა.

13. ბიოტა – წყლის სისტემის ცოცხალი კომპონენტები.

14. ესტუარია – მდინარის ქვედა დინების ნაწილობრივ ჩაკეტილი წყლის მასა, რომელიც თავისუფლად არის დაკავშირებული ზღვასთან და წყალშემკრები აუზიდან იკვებება მტკნარი წყლით.

15. ბაქტერიოლოგიური სინჯი – ბაქტერიოლოგიური ანალიზისათვის სტერილურ კონტეინერში ასეპტიკურად აღებული სინჯი, აღებისა და შენახვის სათანადო წესების დაცვით.

თავი III

ზოგადი დებულებები

მუხლი 3

1. სინჯის აღების მიზანია საკვლევი წყლის ხარისხის ამსახველი დისკრეტული სინჯის მიღება. სინჯის აღება წარმოებს:

ა) წყლის ხარისხის საკონტროლოდ და ხანმოკლე ცვლილებების აღმოსაჩენად;

ბ) კვლევის პროგრამის მიხედვით წყლის ხარისხის გამოსაკვლევად ან გრძელვადიანი ცვლილებების აღმოსაჩენად (ფსკერის ნადებისა და ლამის ჩათვლით);

გ) წყლის შედგენილობისა და თვისებების განსაზღვრისათვის იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც რეგლამენტებულია ნორმატიულ დოკუმენტებში;

დ) წყლის ობიექტის დამაზინებელი წყაროების იდენტიფიკაციისათვის.

2. კვლევის მიზნისა და ობიექტის მიხედვით უნდა შემუშავდეს კვლევის პროგრამა და აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს სინჯის აღების მონაცემების სტატისტიკური დამუშავება XI თავის 38-ე მუხლის შესაბამისად.

3. სინჯის აღების პროგრამის შედგენისას განსაზღვრულ უნდა იქნეს კვლევის ძირითადი ამოცანები, ანალიზის ჩატარების მეთოდები, განსასაზღვრი მაჩვენებლების ნუსხა, სიზუსტის სასურველი დონე და ის ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ აღების ადგილის, ხერხის, პერიოდულობის, სიხშირის, ხანგრძლივობის, სინჯის დამუშავებისა და ანალიზის ჩასატარებელი მოწყობილობების შერჩევაზე.

4. აღებული სინჯის მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიული დოკუმენტით დადგენილი კონკრეტული მაჩვენებლის განსაზღვრის მეთოდს, განსასაზღვრი მაჩვენებლების რაოდენობისა და მათი განმეორებითი გამოკვლევების ჩატარების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

5. სინჯის აღების მეთოდის შერჩევა უნდა წარმოებდეს წყლის ტიპის, სინჯის აღების სიღრმის, კვლევის მიზნისა და განსასაზღვრი მაჩვენებლების ჩამონათვალის მიხედვით, იმ გაანგისებით, რომ გამოირიცხოს (ან მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი) სინჯის აღების პროცესში განსასაზღვრი მაჩვენებლების შესაძლო ცვლილებები.

6. წყლის სინჯების გამოკვლევა უნდა ჩატარდეს დანართი 1-ის, 1-6 ცხრილებში მითითებული დროის განმავლობაში, სინჯის შენახვის პირობების დაცვით.

7. აღებული სინჯების შესანახად მომზადებისათვის შერჩეული მეთოდი უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული მაჩვენებლის განსაზღვრის იმ მეთოდს, რომელიც დადგენილია ნორმატიული დოკუმენტით. ამავე დროს, თუ განსაზღვრის მეთოდზე ნორმატიულ დოკუმენტში მითითებულია სინჯის შენახვის პირობები, დაცულ უნდა იქნეს ნორმატიული დოკუმენტით რეგლამენტებული პირობები. წყლის სინჯის შენახვის ხანგრძლივობაზე გამოცდის ოქმში უნდა გაკეთდეს შესაბამისი აღნიშვნა.

8. ტრანსპორტირებისა ან შენახვის პირობების დარღვევისას სინჯის გამოკვლევის ჩატარება მიზანშეწონილი არ არის.

9. სინჯის აღების ყველა პროცედურა უნდა იქნეს მკაცრად დოკუმენტირებული. ჩანაწერები უნდა იყოს მკაფიო და განხორციელებული საიმედო ხერხით, ლაბორატორიაში სინჯების იდენტიფიკაციის დაუბრკოლებლად ჩატარების მიზნით.

თავი IV

ზოგადი მოთხოვნები სინჯის აღებაზე

მუხლი 4

1. სანიტარიული წესები ადგენს იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სხვადასხვა ტიპის წყლის სინჯის აღების დროს, ხარისხის კონტროლისა და დამაბინძურებელი წყაროების იდენტიფიკაციის მიზნით, ფსკერის ნადებისა და ლამის ჩათვლით.

2. წყლის სინჯის აღების ტიპებია: წერტილოვანი, პერიოდული, უწყვეტი, სერიული, შედგენილი და დიდი მოცულობის.

3. წერტილოვანი სინჯის აღება წარმოებს წყლის არაერთგვაროვანი ნაკადისა და განსასაზღვრი მაჩვენებლების ცვალებადობისას, ხელით ან ავტომატურად, წყლის ზედაპირიდან, განსაზღვრულ სიღრმეზე ან ფსკერიდან, მოცემულ დროსა და ადგილზე წყლის ხარისხის დადგენის მიზნით. წერტილოვანი სინჯის აღება მიზანშეწონილია:

ა) წყლის ობიექტის შესაძლო დაბინძურების გამოკვლევის, დაბინძურების ხარისხისა და დამაბინძურებლის არსებობის მომენტის დადგენისათვის (მაჩვენებლების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მიხედვით);

ბ) ისეთი არამდგრადი პარამეტრების განსაზღვრისათვის, როგორცაა: გახსნილი გაზების კონცენტრაცია, ნარჩენი ქლორი, ხსნადი სულფიდები და სხვა.

4. პერიოდული სინჯები შესაძლებელია იყოს: დროზე, წყლის მოცულობასა და ნაკადზე დამოკიდებული.

ა) დროზე დამოკიდებული პერიოდული სინჯის აღება წარმოებს ერთი ან რამდენიმე ჭურჭლით, ერთსა და იმავე დაფიქსირებულ დროში (დროის საზომი ხელსაწყოს გამოყენებით), თითოეული სინჯის ასაღებ ჭურჭლში უნდა მოხდეს ერთი და იმავე დადგენილი მოცულობის აღება. აღების დრო შესაძლებელია დამოკიდებული იყოს განსასაზღვრ მაჩვენებლებზე;

ბ) ნაკადზე დამოკიდებული პერიოდული სინჯის აღება წარმოებს, დროის ერთსა და იმავე ინტერვალში, სხვადასხვა მოცულობით, მოცულობა დამოკიდებულია ნაკადზე. სინჯის აღების ეს მეთოდი გამოიყენება, თუ წყლის შედგენილობის ცვალებადობა და ნაკადის სიჩქარე არ არის ერთმანეთზე დამოკიდებული;

გ) მოცულობაზე დამოკიდებული პერიოდული სინჯის აღება წარმოებს წყლის ნაკადის მოცულობის თითოეული ერთეულისათვის, დროისაგან დამოუკიდებლად. ეს მეთოდი გამოიყენება, თუ წყლის შედგენილობის ცვალებადობა და ნაკადის სიჩქარე არ არის ერთმანეთზე დამოკიდებული.

5. უწყვეტი სინჯის აღება წარმოებს უფრო ზუსტი შედეგების მისაღებად ნაკადის როგორც მუდმივი, ისე ცვალებადი სიჩქარის დროს, ხელით ან ავტომატურად.

ა) უწყვეტი სინჯების აღება ნაკადის მუდმივი სიჩქარის დროს შესაძლებლობას იძლევა სინჯის აღების პერიოდში მიღებულ იქნეს ყველა მონაცემი წყლის მაჩვენებლებზე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში არ იძლევა ინფორმაციას განსასაზღვრი მაჩვენებლების კონცენტრაციებს შორის განსხვავებაზე;

ბ) უწყვეტი სინჯების აღება ნაკადის ცვალებადი სიჩქარის დროს წარმოებს წყლის ნაკადის პროპორციულად. მეთოდი გამოიყენება წყლის დიდი მოცულობის შედგენილობის განსაზღვრისას, ეს არის გამდინარე წყლის სინჯების აღების ყველაზე უფრო ზუსტი მეთოდი, როდესაც ნაკადის სიჩქარე და განსასაზღვრი მაჩვენებლების კონცენტრაცია მნიშვნელოვნად ცვალებადობს.

6. სერიული სინჯის აღება წარმოებს წყლის ობიექტის სიღრმისა და ფართობის პროფილის მიხედვით.

ა) სიღრმის პროფილის მიხედვით აღებული სინჯები წარმოადგენს წყლის სინჯების სერიას, რომლის აღება წარმოებს კონკრეტულ ადგილასა და საკვლევი წყლის სხვადასხვა სიღრმეზე;

ბ) ფართობის პროფილის მიხედვით აღებული სინჯები წარმოადგენს წყლის სინჯების სერიას, რომლის აღება წარმოებს სხვადასხვა ადგილასა და განსაზღვრულ სიღრმეზე.

7. შედგენილი სინჯის აღება წარმოებს როგორც ხელით, ისე ავტომატურად და დამოკიდებული არ არის სინჯის აღების მეთოდზე (რეგულარული სინჯები შესაძლებელია გაერთიანდეს შედგენილი სინჯის მისაღებად). იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია წყლის შედგენილობაზე გასაშუალებული მონაცემების მიღება. ამისათვის წინასწარ უნდა დაზუსტდეს ამ სახის მონაცემების მიღების აუცილებლობა და აღების მომენტში პარამეტრების შესაძლებელი მნიშვნელოვანი ცვალებადობა.

8. დიდი მოცულობის 50 დმ³-იდან რამდენიმე კუბურ მეტრამდე სინჯების აღება წარმოებს განსასაზღვრი მაჩვენებლიდან გამომდინარე, დიდი მოცულობის ჭურჭლითა (მაგ., ცისტერნით) და წყლის არსებული მოცულობის ფილტრში გატარებით (მაგ., იონური მიმოცვლის ან გააქტივებული ნახშირის ფილტრში – ზოგიერთი პესტიციდების განსაზღვრისათვის, პოლიპროპილენის საშუალოდ 1 მკმ დიამეტრის ფორებიან ფილტრში – კრიპტოსპორიდიების განსაზღვრისათვის). აღებისას რამდენიმე ფილტრის გამოყენების შემთხვევაში სინჯი ჩაითვლება შედგენილ სინჯად.

9. წყლის ქიმიური და ბიოლოგიური ანალიზისათვის რეკომენდებულია სინჯების ცალკე აღება, რადგან სინჯის წინასწარი დამუშავებისა და განსაზღვრის მეთოდები, ასევე, ასაღები მოწყობილობები განსხვავებულია.

მუხლი 5

1. სინჯის აღების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

ა) ღია წყალნაკადიდან აღებულ უნდა იქნეს ტიპური სინჯი, უფრო ხშირად წერტილოვანი, აღებისათვის შერჩეულ უნდა იქნეს მძაფრი დინების მონაკვეთები, სადაც ნაკადები კარგად ერევა ერთმანეთს;

ბ) ღია წყალსატევის წყლის ხარისხის დასახასიათებლად, სინჯები აღებულ უნდა იქნეს სხვადასხვა მონაკვეთსა და სიღრმეზე. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თერმული სტრატეფიკაციის არსებობა მისი წყლის ხარისხზე ძლიერი მოქმედების გამო;

გ) გრუნტის წყლის სინჯების აღება უნდა წარმოებდეს სხვადასხვა სიღრმეზე და სხვადასხვა დროს, სარწმუნო შედეგების მისაღებად;

დ) მილსადენიდან სინჯის აღების დროს სინჯამლები უნდა მოთავსდეს ნაკადის დინების ქვევით. აღების საუკეთესო ადგილებია ტურბულენტური ნაკადის მონაკვეთები, როგორცაა F-ის მაგვარი სარქველები, მოხრილობები და სხვა, მიღების ამ მონაკვეთებში წყლის უკეთესი შერევის გამო;

ე) ატმოსფერული ნალექების სინჯის აღებისას გამორიცხულ უნდა იქნეს მასში უცხო მინარევების მოხვედრა. ზუსტი შედეგების მისაღებად აუცილებელია დახურული სინჯამღებების გამოყენება, რომლებიც გაიხსნება მხოლოდ გამოყენების მომენტში.

2. მოთხოვნები წყლის სინჯის ასაღები მოწყობილობების კონსტრუქციისადმი მოცემულია წინამდებარე სანიტარიული წესების VII, VIII თავებში, ხოლო მეთოდები წყლის სინჯების შენახვისა და კონსერვაციისადმი – დანართ 1-ში.

მუხლი 6

1. წყლის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების კვლევისას აუცილებელია ჭურჭლის შევსება საცობამდე, საცობის ქვეშ ჰაერის არარსებობა ამცირებს ტრანსპორტირების დროს ჭურჭლის შიგთავსის შენჯღრევის შესაძლებლობას.

2. მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების კვლევისას ჭურჭელი არ უნდა გაივსოს ბოლომდე, რათა თავიდან აცილებულ იქნეს სინჯის შემთხვევითი დაბინძურება და კვლევის წინ შესაძლებელ იქნეს სინჯის მსუბუქი შერევა.

3. ჭურჭელი იმ სინჯებით, რომელთა კონსერვაცია ხდება გაყინვით, არ უნდა გაივსოს ბოლომდე.

4. სინჯის შესანახი ჭურჭელი და საცობი არ უნდა იწვევდეს:

ა) სინჯის დაბინძურებას (მაგ., ბორსილიკატურ ან უბრალო ნატრიუმთანა მინამ შესაძლებელია გაზარდოს სილიციუმისა და ნატრიუმის შემცველობა);

ბ) განსასაზღვრი ელემენტის აბსორბირებას ან ადსორბირებას (მაგ., ნახშირწყალბადები შესაძლებელია აბსორბირდეს ჭურჭლის პოლიეთილენით; ლითონის კვალი შესაძლებელია ადსორბირდეს მინის ზედაპირზე);

გ) არ უნდა შედიოდეს რეაქციაში სინჯში არსებულ ნაერთებთან (მაგ., ფტორის ნაერთები შესაძლებელია რეაგირებდნენ ჭურჭლის მინასთან);

5. მყარი და ნახევრად თხიერი სინჯების ასაღებად და შესანახად მიზანშეწონილია ქილების ან ფართოყელიანი ბოთლების გამოყენება. გაუმჭვირვალე ან მუქი მინის ჭურჭლი ამცირებს სინჯზე სინათლის უარყოფით ზემოქმედებას.

6. სინჯის დაბინძურების რისკის შესამცირებლად სასურველია თითოეული განსასაზღვრი კომპონენტისთვის შესაბამისი ჭურჭლის გამოყენება.

ა) დაუშვებელია ელემენტის დაბალი კონცენტრაციის სინჯის შენახვა იმ ჭურჭლში, სადაც ინახებოდა ამავე ელემენტის მაღალი კონცენტრაციის სინჯი.

7. თუ სინჯების გამოკვლევა ლაბორატორიაში მიტანისთანავე შეუძლებელია, იგი შენახულ უნდა იქნეს ისეთ პირობებში, რომ გამორიცხოს გარედან დაბინძურების შესაძლებლობა და შედგენილობის ნებისმიერი ცვლილება. წყლის სინჯების ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს დაცულ უნდა იქნეს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები, სინჯის აღებიდან ანალიზამდე პერიოდში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური, ქიმიური და ბიოლოგიური რეაქციებისა და მიღებული შედეგების რეალურისაგან განსხვავების თავიდან აცილების მიზნით.

მუხლი 7

1. დოკუმენტაცია ნიმუშების აღებისა და ადგილზე ჩატარებული ანალიზების შესახებ უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სინჯის აღებიდან ანალიზის საბოლოო შედეგების ჩათვლით. ყველა სტადიაზე სისტემატური ან შემთხვევითი ცდომილების, ასევე კონსერვაციისა და ტრანსპორტირების დროს, გაუთვალისწინებელი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, უნდა შეგროვდეს აუცილებელი რაოდენობის დამატებითი ნიმუშები.

2. სინჯს უნდა გაუკეთდეს მოუშორებადი იარლიყი, რომელზეც აღნიშნულ უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სინჯის ნომერი;

ბ) სინჯს აღების თარიღი, დრო და ადგილი;

გ) სინჯის აღების მეთოდი;

- დ) სინჯის აღწერა და მათი განლაგება;
- ე) გარემოს კლიმატური პირობები;
- ვ) სინჯის შენახვისა და კონსერვაციის მეთოდები;
- ზ) კვლევის მიზანი;
- თ) სხვა მონაცემები სინჯის აღების მიზნიდან გამომდინარე;
- ი) ამლები პირის ვინაობა.

3. კვლევის კონკრეტული პროგრამიდან გამომდინარე, შესაძლებელია სინჯის აღების ოქმსა და ეტიკეტზე დამატებითი ინფორმაციის მითითება. მაგ., ანომალური შემთხვევები და სხვა.

თავი V

ზოგადი მოთხოვნები სინჯების დამუშავებაზე

მუხლი 8

1. წყლის სინჯების ცვალებადობის მიზეზი შესაძლებელია იყოს:

ა) ბაქტერიების, წყალმცენარეებისა და სხვა ორგანიზმების მიერ სინჯში არსებული ზოგიერთი შენაერთების შთანთქმა ან ახალი ნივთიერებების წარმოქმნა. ამ სახის ბიოლოგიური აქტივობა გავლენას ახდენს წყალში გახსნილი ჟანგბადის, ნახშირმჟავა გაზის, აზოტის შენაერთების, ფოსფორისა და ზოგჯერ სილიციუმის შემცველობაზე;

ბ) ზოგიერთი შენაერთის შესაძლებელი დაჟანგვა წყალში გახსნილი ჟანგბადით ან ატმოსფერული ჰაერის ჟანგბადით (მაგ., ორგანული შენაერთები, ორვალენტური რკინა, სულფიდები);

გ) ზოგიერთი ნივთიერების შესაძლებელი დალექვა (მაგ., კალციუმის კარბონატი, მაგნიუმის ფოსფატი, ალუმინის ჰიდროქსიდები) ან აორთქლება (მაგ., ჟანგბადი, ციანიდები, ვერცხლისწყალი);

დ) სინჯის მიერ ჰაერიდან ნახშირმჟავა გაზის შთანთქმის გამო, pH-ის, ელექტროგამტარობის, ნახშირჟანგის შემცველობისა და სხვ. შესაძლებელი შეცვლა;

ე) ხსნადი ლითონები ან კოლოიდურ მდგომარეობაში ლითონების, ისევე როგორც ზოგიერთი ორგანული შენაერთების, შესაძლო აბსორბირება ან ადსორბირება ჭურჭლის ზედაპირზე, ან სინჯში არსებულ მყარ ნივთიერებებზე;

ვ) პოლიმერიზებული ნივთიერებების შესაძლო დეპოლიმერიზება ან, პირიქით, მარტივი ნივთიერებების შესაძლო პოლიმერიზაცია.

2. სინჯებში მიმდინარე პროცესების ხანგრძლივობა დამოკიდებულია სინჯების ქიმიურ და ბიოლოგიურ ხასიათზე (ბუნებაზე), ტემპერატურაზე, სინათლეზე ყოფნის ხანგრძლივობაზე, ჭურჭლის სახეობაზე, სინჯის აღებასა და ანალიზს შორის დროის შუალედსა და ტრანსპორტირების პირობებზე.

3. წყლის სინჯების ცვალებადობის გამომწვევი ფაქტორების მინიმუმამდე შემცირებისათვის აუცილებელია უსაფრთხოების ყველა ღონისძიების გატარება და შეძლებისდაგვარად ანალიზის სწრაფად ჩატარება.

მუხლი 9

1. გაუწმენდავი ნახმარი წყლების სინჯის შენახვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შენახვის ოპტიმალური მეთოდების ნაკლებად ეფექტურობა ბიოლოგიურად გაწმენდილ ნახმარ წყლებთან შედარებით.

2. დასაშვებია სინჯის შენახვა ხანგრძლივი დროით, მხოლოდ მაჩვენებლების შეზღუდული რიცხვის განსაზღვრისათვის. სინჯის შენახვის მეთოდიკა ყოველთვის დამოკიდებულია ანალიზის ჩასატარებლად შერჩეულ მეთოდზე.

მუხლი 10

1. სინჯების შესანახად განსასაზღვრი მაჩვენებლებიდან გამომდინარე, აუცილებლობის შემთხვევაში, ტარდება:

- ა) ფილტრაცია (ცენტრიფუგირება);
- ბ) კონსერვაცია;
- გ) გაცივება (გაცივნა).

2. სინჯის შენახვამდე, წყლიდან შეწონილი ნაწილაკების, ნალექის, წყალმცენარეებისა და მიკროორგანიზმების მოსაცილებლად გამოიყენება ფილტრაცია. ფილტრაცია წარმოებს სინჯის ალებისთანავე ან ალების შემდეგ. ჩვეულებრივ ფილტრაციისათვის გამოიყენება ქაღალდის, მემბრანული ფილტრები ან ცენტრიფუგირება. ფილტრაცია გამოიყენება აგრეთვე იმ ხსნადი და უხსნადი ფორმების განცალკევებისათვის, რომელიც უნდა განისაზღვროს, გარდა ამისა:.

ა) ფილტრაცია არ გამოიყენება, თუ ფილტრი აკავებს ერთ ან მეტ განსასაზღვრ ინგრედიენტს;

ბ) ფილტრი ხმარების წინ უნდა გაირეცხოს გულდასმით, აუცილებლობის შემთხვევაში ჩაუტარდეს სტერილიზაცია, უნდა იქნეს შეთავსებადი მაჩვენებლის განსაზღვრის მეთოდთან და წყალში არ უნდა შეიტანოს დამატებითი დამაბინძურებლები;

გ) მემბრანული ფილტრების გამოყენება, ფილტრის ზედაპირზე სხვადასხვა მძიმე მეტალებისა და ორგანული ნივთიერებების შესაძლებელი აბსორბირებისა და მემბრანის ხსნადი შენაერთების სინჯში შესაძლებელი გამორეცხვის გამო, უნდა წარმოებდეს ფრთხილად.

3. სინჯის გაცივების ან გაცივნის მეთოდის გამოყენება ეფექტურია სინჯის ალებისთანავე:

ა) გაცივების (გაცივნის) შემდგომ სინჯიანი ჭურჭლის შენახვა და ტრანსპორტირება უნდა მოხდეს გამაციებული ყუთებით ან რეფრიჟერატორებით;

ბ) სინჯის გაცივება მდნარი ყინულით ან მაცივარში 2-5°C ტემპერატურაზე და ბნელ ადგილას მოთავსება ხშირად საკმარისია ტრანსპორტირების პერიოდში კონსერვაციისათვის და ლაბორატორიაში ხანმოკლე დროით შენახვისათვის;

გ) დაუშვებელია გაცივებული სინჯის დიდი ხნით შენახვა, განსაკუთრებით ჩამდინარე წყლის სინჯისა.

4. სინჯის შენახვის პერიოდი შესაძლებელია გაიზარდოს სინჯის გაცივნით -20°C-ზე, გაცივნისა და დნობის ტექნოლოგიური პროცესის დაცვით, სინჯში ცვლილებების თავიდან აცილების მიზნით. უმჯობესია პლასტიკური მასალისაგან (მაგ., პოლივინილქლორიდისაგან) დამზადებული ჭურჭლის გამოყენება. მინის ჭურჭელში მოთავსებული სინჯები არ იყინება.

ა) დაუშვებელია ბაქტერიოლოგიური ანალიზისათვის აღებული სინჯების გაცივნა;

ბ) დაუშვებელია აქროლადი ორგანული ნივთიერებების განსაზღვრისათვის აღებული სინჯების გაცივნა.

5. სინჯების კონსერვაცია უნდა წარმოებდეს გარკვეული ქიმიური ნაერთების (მჟავები, ტუტეები, ბიოციდები) დამატებით წინასწარ, ცარიელ ჭურჭელში ან სინჯის ალების შემდეგ. ზოგიერთ შემთხვევაში მაგალითად, ჟანგბადის, ციანიდების, სულფიდების განსაზღვრისათვის აუცილებელია სინჯის ფიქსაცია ალების ადგილზე. სინჯების კონსერვაციისათვის გამოიყენება:

- ა) მჟავები;
- ბ) ტუტე ხსნარები;
- გ) ორგანული გამხსნელები;
- დ) ბიოციდები;

ე) სპეციალური რეაქტივები ზოგიერთი მაჩვენებლების განსაზღვრისათვის (მაგ., ჟანგბადი, ციანიდები, სულფიდები).

6. სინჯის კონსერვაციისათვის მიზანშეწონილი არ არის ეკოლოგიურად საშიში ტყვიის ნაერთების გამოყენება. ზოგიერთი კონსერვანტი (მჟავები, ქლოროფორმი), მათი მოხმარების საშიშროებიდან გამომდინარე, გამოიყენებულ უნდა იქნეს დიდი სიფრთხილით.

ა) დაუშვებელია კონსერვაციისათვის ვერცხლისწყლის ქლორიდისა და ვერცხლისწყლის ფენილაცეტატის გამოყენება;

ბ) დაუშვებელია იმ კონსერვანტების გამოყენება, რომლებიც შეიცავენ სინჯში განსასაზღვრ ნივთიერებებს (იონებს, ელემენტებს).

7. ანალიზის ჩატარების დროს გამოყენებულმა კონსერვანტებმა არ უნდა შექმნას დაბრკოლება, უმეტეს შემთხვევაში, კონსერვანტების კონცენტრირებული ხსნარების დამატება, შესაძლებელს ხდის გათვალისწინებულ არ იქნეს სინჯების განზავება.

8. კონსერვანტების დამატებისას აუცილებელია მხოლოდ კონსერვაციის გამოცდილი მეთოდიკების გამოყენება, წყლის სინჯების შემადგენელი კონპონენტების ფიზიკური და ქიმიური თვისებების შესაძლო ცვლილებების გათვალისწინებით (მაგ., სინჯის შემჟავებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მყარი ნივთიერებებისა და კოლოიდური ხსნარების გახსნა).

9. ცოცხალ ორგანიზმებზე წყლის ტოქსიკური მოქმედების განსაზღვრისას, თავიდან აცილებულ უნდა იქნეს სინჯის კომპონენტების გახსნა. კერძოდ, მძიმე მეტალების, რომლებიც იონურ ფორმაში ტოქსიკურია. მეტალების კვალის განსაზღვრისათვის აუცილებელია ცრუ ცდის ჩატარება.

10. კონსერვაციისათვის მიზანშეწონილია კონსერვანტების კონცენტრირებული ხსნარების გამოყენება, მათი მცირე მოცულობით გამოყენების მიზნით. თუ კონსერვანტის დამატებისას სინჯის მოცულობის ცვლილება არ აჭარბებს 5%-ს, მაჩვენებლების განსაზღვრისას შესაძლებელია შესაბამისი განზავების უგულვებელყოფა.

11. აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს დამატებული კონსერვანტის მიერ სინჯში განსასაზღვრი ელემენტის დამატებითი რაოდენობის შეტანის შესაძლებლობა (მაგ., მჟავებს შეუძლიათ სინჯში გარკვეული რაოდენობის დარიშხანის, ტყვიისა და ვერცხლისწყლის შეტანა), ამიტომ ლაბორატორიას, სადაც ჩატარდება ანალიზი, ცრუ ცდის მომზადების დროს უნდა ჰქონდეს სინჯის აღებისას გამოყენებული ყველა კონსერვანტი.

12. ანალიზის ჩასატარებლად შერჩეული მეთოდი უნდა შეესაბამებოდეს ცხრილ 1-ში მოცემულ სინჯის შენახვისა და კონსერვაციის მოთხოვნებს.

13. ანალიზის ჩატარების წინ შემოწმებულ უნდა იქნეს სინჯის შენახვისა და კონსერვაციის მოთხოვნების შესაბამისობა ანალიზისათვის შერჩეულ მეთოდთან.

14. სავსე პირობებში შესრულებული ჩანაწერები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას დამატებული კონსერვანტების შედგენილობასა და რაოდენობაზე.

ცხრილი 1

წყლის სინჯის შენახვის (კონსერვაციის) ზოგადი მეთოდები		
კონსერვაციის მეთოდი	განსასაზღვრი მაჩვენებლების დასახელება	
	მეთოდი დასაშვებია	მეთოდი დაუშვებელია
1	2	3
შემჟავება pH <2-მდე	ალუმინი ამიაკი (თავისუფალისა და საერთოს გარდა) საერთო სიხისტე დარიშხანი ნიტრატები მძიმე მეტალები საერთო ფოსფორი ტუტე მეტალები ტუტე-მიწათა მეტალები და იშვიათმიწათა მეტალები	ჰესამეთილენტეტრამინი კარბონატები, ბიკარბონატები ნახშირმჟავა გაზი საპონი და რთული ეთერები ნიტრიტები სულფიდები სულფიტები გოგირდის დიოქსიდი ფოსფონატები ციანიდები
გატუტინება pH >11-მდე	იოდიდები	ორგანული შენაერთების უმრავლესობა; მძიმე მეტალები, განსაკუთრებით მრავალვალენტური. უფრო მაღალი ვალენტობის ზოგიერთი მეტალები ხსნადი ანიონებიდან. ამიაკი, ამონიუმი. ამინები, ამიდები.

		ჰიდრაზინი, ჰიდროქსილამინი საერთო ფოსფორი
გაცივება - 2-5 ⁰ C-მდე	აზოტი კელდალით ამონიუმში ბიოლოგიური ცდები ბრომიდები და ბრომის შენაერთები სუნი იოდიდები ტუტიანობა და მჟავურობა ნიტრატები ნიტრიტები მშრალი ნაშთი და საერთო მინერალიზაცია ზანი (კათიონოგენური), სულფატები ფოსფორი ორთოფოსფორი ქლოროფილი ელექტროგამტარობა	
გაცივება -20 ⁰ C- მდე	ბიოლოგიური კვლევები პერმანგანატული ინდექსი ორგანული ნახშირბადი ქლოროფილი ჟქმ გამოცდა ტოქსიკურობაზე	ბენტოსი, თუ აუცილებელია მისი განსაზღვრა სხვადასხვა მდგომარეობაში; თხიერი ბიოტისა და ბადეზე ბიოტის გარჩევის აუცილებელისას; გახსნილი გაზები; მიკროორგანიზმები იდენტიფიკაციისათვის; ხსნარები, რომლებიც საჭიროებენ ჰომოგენიზაციას; გაცივებისა წარმოქმნილი პოლიმერიზაციისა ან ნალექის დადნობის დროს; ზოგიერთი პოლიმერები გაცივებისას დეპოლიმერიზაციის გამო.
<p>შენიშვნა:</p> <ol style="list-style-type: none"> დაუშვებელია: <ol style="list-style-type: none"> გოგირდმჟავას გამოიყენება იმ სინჯების კონსერვაციისათვის, რომელშიც უნდა განისაზღვროს ბარიუმი, კალციუმი, რადიუმი, ტყვია, სტრონციუმი; მარილმჟავას გამოიყენება იმ სინჯების კონსერვაციისათვის, რომელშიც უნდა განისაზღვროს ბისმუტი, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, ტყვია, ვერცხლი, ტალიუმი; აზოტმჟავას გამოიყენება იმ სინჯების კონსერვაციისათვის, რომელშიც უნდა განისაზღვროს კალაშემცველი ორგანული ნაერთები, ნიტრატები და ნიტრიტები; სინჯების გაცივების დროს მრავალატომიანი მჟავების შესაძლო დეპოლიმერიზაციის გამო, აუცილებელია გამოყენებამდე მეთოდის ვარგისიანობის დაზუსტება; სინჯების გაცივებისა ნალექმა და პოლიმერიზაციის პროცესმა შესაძლებელია გავლენა მოახდინოს განსაზღვრის შედეგებზე; მაჩვენებლები, რომლებიც არ არის მოცემული ცხრილში, არ უნდა განისაზღვროს მოცემული კონსერვაციის მეთოდებით აღებულ სინჯებში. 		

თავი VI

სინჯის აღების წესები წყლის ტიპების მიხედვით

მუხლი 11. მოთხოვნები სასმელი წყლის სინჯის აღებაზე

1. სანიტარული წესები ეხება სასმელად და აგრეთვე საკვები პროდუქტებისა და სასმელების წარმოებაში გამოყენებული წყლების სინჯების აღებას.

2. სასმელი წყლის სინჯის აღების მიზანია:

ა) სასმელ-სამეურნეო წყლის მოსამზადებელი დანადგარების ან მათი ცალკეული კვანძების მუშაობის ეფექტურობის დადგენა და წყალსადენის გამანაწილებელ სისტემაში წყლის ხარისხის კონტროლი;

ბ) წყალსადენის გამანაწილებელ ქსელში დაბინძურების მიზეზის დადგენა;

გ) კოროზიის პროდუქტებით სასმელი წყლის შესაძლო დაბინძურების ხარისხის კონტროლი;

დ) გამოყენებული მასალების, რეაგენტების, მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების სასმელი წყლის ხარისხზე გავლენის შეფასება;

ე) კვების მრეწველობის საწარმოებაში გამოყენებული სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი.

3. სინჯის აღების წინ უნდა დაიგეგმოს სინჯის აღების ადგილზე შესასრულებელი ანალიზები. პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს შემდეგი მაჩვენებლები: სუნი, გემო, pH, მჟავიანობა (ტუტიაანობა), ელექტროგამტარობა, წყლისა და ჰაერის ტემპერატურა, ასევე ქლორის, ოზონის, ჟანგბადის, ნახშირორჟანგის შემცველობა და უნდა მოხდეს სინჯის ვიზუალური შეფასება.

4. რეპრეზენტატული სინჯის მისაღებად:

ა) სინჯის აღება უნდა წარმოებდეს მილის იმ წერტილში, სადაც მყარი ნაწილაკები თანაბარზომიერად არის განაწილებული, ტურბულენტური ნაკადის მქონე სისტემებიდან, ჩამკეტებიდან, მოხრილობებიდან და სხვადასხვა დაბრკოლებებიდან პრაქტიკულად მისაღებ დაშორებაზე, კერძოდ, მილის სწორ მონაკვეთზე;

ბ) აღების წერტილამდე სინჯი არ უნდა იცვლებოდეს. რეკომენდებული არ არის სინჯის აღება მილის გრძელი ჰორიზონტალური უბნებიდან ან მცირე დიამეტრის მქონე მილებიდან.

5. ფიზიკური, ქიმიური და რადიოლოგიური ანალიზისათვის სინჯის აღებისას ასაღებ ჭურჭელში წყალი უნდა ჩაედინებოდეს ნელა მის გადავსებამდე. ბოლომდე გავსებულ ჭურჭელს მჭიდროდ უნდა მოერგოს საცობი, ამასთანავე, არ უნდა აღინიშნებოდეს ჰაერის ბუშტები. ჟანგბადის ან ხსნადი გაზების განსაზღვრისათვის, სინჯის აღება უნდა წარმოებდეს ჭურჭელში ფსკერამდე ჩაშვებული მილით, რომელიც შეერთებულ უნდა იქნეს ონკანთან.

6. ბიოლოგიური ანალიზებისათვის სინჯების აღებისას, მყარი ნაწილაკების გამორეცხვის მიზნით, წყალი გამოშვებულ უნდა იქნეს გარკვეული სიჩქარით. სინჯის შესაგროვებლად გამოიყენება პოლიამიდის ბადე 150 მკმ ზომის უჯრედებით, ასევე შესაძლებელია უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებული ბადის გამოყენება 0,5 მმ ზომის ნახვრეტებით.

7. მიკრობიოლოგიური სინჯების ასაღებად წყალი თავისუფლად უნდა გადმოედინებოდეს ონკანიდან ან წყლის გამოსაშვებიდან. სინჯის ასაღები ჭურჭლის შევსება უნდა წარმოებდეს უშუალოდ ონკანიდან. მეორადი დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, სინჯის ასაღები ხვრელი, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გასტერილდეს ალით ან სხვა ეფექტური მეთოდებით. სინჯის აღების შემდეგ ჭურჭელს მჭიდროდ უნდა დაეხუროს სტერილური საცობი.

ა) შევსების წინ ფართოყელიან, არანაკლებ 300 მლ მოცულობის მინის ჭურჭელს მილესილსაცობიანი თავსახურით, უნდა ჩაუტარდეს სტერილიზაცია ავტოკლავში 120° C ტემპერატურაზე 20 წუთის განმავლობაში და 20 კპ წნევისას. სინჯის ასაღებად ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ერთჯერადი სტერილური ჭურჭელი.

8. ვირუსოლოგიური ანალიზისათვის სინჯის აღება უნდა წარმოებდეს მიკრობიოლოგიური ანალიზისათვის დადგენილი მოთხოვნების მიხედვით (მე-11 მუხლი, მე-7 პუნქტი).

მუხლი 12. სასმელი წყლის სინჯის აღების წესები

1. რეზერვუარიდან სინჯი (მათ შორის, მატარებლებში, თვითმფრინავებში, გემებზე წყლის შესანახი ჭურჭლიდან) აღებულ უნდა იქნეს შეძლებისდაგვარად რეზერვუართან ახლოს, შემავალი და გამომავალი მილებიდან.

2. ალების წინ ნადგომი წყალი გამოშვებულ უნდა იქნეს ჩვეულებრივ 2-3 წუთის განმავლობაში. დაუშვებელია რეზერვუარიდან წყლის სინჯის აღება ამოხაპვით.

3. სადებიზინფექციო კვანძში შესვლის წინ წყლის სინჯი ალებულ უნდა იქნეს კვანძთან ახლოს.

4. გამანაწილებელ სისტემაში სინჯების აღება მიზანშეწონილია სხვადასხვა წერტილებიდან და საბოლოო მონაკვეთებიდან. სინჯის აღება მიზანშეწონილია მილების ტურბულენტურ ზონაში.

5. მილსადენის ჩიხურ მონაკვეთებში ალებული წყლის სინჯი არ ჩაითვლება რეპრეზენტატულად. ასეთი მონაკვეთებიდან სინჯების აღებისას ნადგომმა წყალმა უნდა იდინოს არანაკლებ 30 წუთი.

6. წყალშემკრები ონკანებიდან სინჯის აღებისას მილების გამორეცხვის დრო დამოკიდებულია სინჯის აღების მიზანზე. წყლის ხარისხზე მასალების გავლენის შესწავლის მიზნით, სინჯები ალებულ უნდა იქნეს წყლის პირველი ულუფებიდან.

7. ჩამოსხმული სასმელი წლის რეპრეზენტატული სინჯის მისაღებად მიზანშეწონილია მოცემული პარტიიდან ალებულ იქნეს ჭურჭლის (მაგ., ბოთლების) გარკვეული რაოდენობა.

8. სინჯის აღებისთანავე, იდენტიფიკაციის გაადვილების მიზნით, ჭურჭელზე უნდა დამაგრდეს ეტიკეტი, ჩატარდეს სინჯის აღების წერტილის სრული აღწერა, შეიკრიბოს დეტალური ინფორმაცია ყველა შემჩნეული ანომალიის შესახებ და ანგარიში გაფორმდეს ოქმის სახით.

სასმელი წყლის სინჯის აღების ოქმი

სინჯის მიზანი _____ ალების
 ალების _____ ადგილი

თარიღი: დღე _____ თვე _____ წელი

ალების დრო: დასაწყისი _____ დასასრული

ამინდი (ნალექების რაოდენობა, ღრუბლიანობა და სხვა)

ჰაერის _____ ტემპერატურა

წყლის _____ ტემპერატურა

წყაროს ან ჭაბურღილის ხარჯის აღრიცხვა

გამწმენდი ნაგებობები და მოწყობილობები

: _____

წყლის დამუშავების მეთოდები:
 წყლის დამუშავების მეთოდები (დაჟანგვა, შერბილება და სხვა)

დეზინფექცია

სხვა დანადგარები და მოწყობილობები

სინჯის აღების ადგილზე ჩასატარებელი განსაზღვრებები

ფერი	სუნი	გემო	pH	გახსნილი ჟანგბადი	ქლორი	ოზონი	მჟავიანობა (ტუტიანობა)	ნახშირო- რჟანგი	ელექტრო- გამტარობა
------	------	------	----	----------------------	-------	-------	---------------------------	--------------------	-----------------------

სინჯების დამუშავებისა და კონსერვაციის მეთოდები

შენიშვნა:

სინჯის ამღები ოპერატორის ვინაობა (სახელი, გვარი)

მუხლი 13. მოთხოვნები მდინარეებიდან და წყალნაკადებიდან წყლის სინჯების აღებაზე

1. სანიტარიული წესები ეხება მდინარეებიდან და წყალნაკადებიდან წყლის სინჯების აღებას და არ ვრცელდება ესტუარიებიდან (მდინარეების შესართავები) წყლის სინჯების აღებაზე. იმ არხებიდან ან მდინარეებიდან, სადაც მოწყობილია კაშხალი ან დამბა წყლის ნელი ნაკადით, სინჯის აღება უნდა წარმოებდეს არსებული თავისებურებების გათვალისწინებით.

2. სინჯის აღების მიზანია:

- ა) მდინარის აუზში წყლის ხარისხის განსაზღვრა;
- ბ) მდინარის წყლის სასმელად გამოყენებისათვის ვარგისიანობის განსაზღვრა;
- გ) სარწყავად და საქონლის დასარწყვლებლად მდინარის წყლის გამოყენების ვარგისიანობის განსაზღვრა;
- დ) თევზის მოსაშენებლად მდინარის წყლის გამოყენების ვარგისიანობის განსაზღვრა;
- ე) საბანაოდ და საწყლოსნო სპორტისთვის მდინარის წყლის გამოყენების ვარგისიანობის განსაზღვრა;
- ვ) სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოების ნახმარი წყლებით მდინარისა და წყალნაკადის დაბინძურების წყაროების დადგენა.

3. სინჯების აღება უნდა წარმოებდეს შემდეგი მოწყობილობების გამოყენებით:

- ა) **ღია სინჯამღები და ზედაპირული წყლების სინჯამღები** – მდინარის ზედაპირიდან წყლის სინჯის ასაღებად გამოიყენება ჩვეულებრივი ფართოყელიანი ჭურჭელი;
- ბ) **დახურული სინჯამღები** – მდინარის სიღრმიდან სინჯის ასაღებად გამოიყენება ჰაერით ან ინერტული გაზით შევსებული დახურული ბოთლები, მათი ჩაშვება და გავსება წარმოებს განსაზღვრულ სიღრმეზე. ასევე შესაძლებელია ორივე მხრიდან ღია ცილინდრების ან მილების გამოყენება, რომელთა ჩაშვება ხდება მდინარეში, ნაკადის მიმართულებით ან იდგმება ვერტიკალურად და საცობი ეხურება წყლის ქვეშ;

გ) **ტუმბოები**. გამოიყენება შემწოვი, წყალქვეშა და პერისტალტიკური ტუმბოები;

დ) ავტომატური სინჯამდებები. ამ ტიპის სინჯამდებებით წყლის ხარისხის სხვადასხვა მიზნით გამოსაკვლევად, შესაძლებელია სინჯის აღება ადამიანის მონაწილეობის გარეშე.

მუხლი 14. მდინარეებიდან და წყალნაკადებიდან წყლის სინჯების აღების წესები

1. სინჯის აღებისას აუცილებელია აღების ადგილის დაფიქსირება ოქმში.

ა) მდინარის შენაკადისა და ნახმარი წყლების ჩაშვების ადგილის გავლენის დასადგენად, სინჯების აღება წარმოებს მდინარის დინების ზემოთ და წყლის სრული შერევის წერტილში. სინჯები აღებულ უნდა იქნეს სიღრმეზე, ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირისაკენ და დინების გასწვრივ;

ბ) მდინარის ნაკადში დაბინძურების თანაბარი განაწილებისას სინჯის აღება დასაშვებია პრაქტიკულად ნებისმიერ ადგილას;

გ) დაბინძურების არათანაბარი განაწილებისას მიზანშეწონილია შედგენილი სინჯის აღება სხვადასხვა წერტილიდან; ამ შემთხვევაში შეუძლებელია მდინარის სხვადასხვა ადგილში დამბინძურებლის კონცენტრაციებს შორის განსხვავების შეფასება. შედგენილი სინჯის აღება არ წარმოებს გახსნილი გაზებისა და აქროლადი კომპონენტების საანალიზოდ.

2. სინჯის აღების სიხშირე და დრო დგინდება პროგრამის შესაბამისად, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე.

3. აღებული სინჯების კონსერვაცია უნდა ჩატარდეს 1-ლი დანართის, მე-2 მე-7 ცხრილებში მოცემული და ანალიზის მეთოდზე შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით.

4. ჭურჭელი სინჯებით უნდა იქნეს მკაფიოდ ნიშანდებული (მარკირებული) და მიტანილი ლაბორატორიაში შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში.

5. მდინარიდან და წყალნაკადებიდან წყლის სინჯის აღების შესახებ ანგარიში უნდა გაფორმდეს ოქმის სახით.

მდინარიდან და წყალნაკადებიდან წყლის სინჯის აღების ოქმი

სინჯის მიზანი _____ აღების ადგილი _____ დაწვრილებითი ადწერით _____

მდინარის ან ნაკადის დასახელება _____

თარიღი: დღე _____ თვე _____ წელი _____

აღების დრო: დასაწყისი _____ დასასრული _____

აღების წერტილი _____
 ამინდი (ნალექების რაოდენობა, ღრუბლიანობა და სხვა) _____

ჰაერის ტემპერატურა _____

წყლის ტემპერატურა _____ და გარეგნული სახე _____

მდინარის პირობები _____ დინების _____

აღებული ნიმუშის დახასიათება _____

ფერი	სუნი	შეფერილობა
გამჭვირვალობა	სუსპენზიის	
არსებობა		
სინჯის	ასაღები	მოწყობილობის ტიპი
ნიმუშის	კონსერვაციის	მეთოდი
შენახვისა	ტრანსპორტირების	პირობები
სინჯის	ამლები	ოპერატორის ვინაობა (სახელი, გვარი)
შენიშვნა:		

მუხლი 15. მოთხოვნები ბუნებრივი და ხელოვნური ტბებიდან წყლის სინჯების აღებაზე

1. ბუნებრივი და ხელოვნური ტბებიდან წყლის სინჯის აღების მიზანია:

ა) წყლის ხარისხის გამოკვლევა მთელი წყალსატევისათვის დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (რამდენიმე წელი);

ბ) წყლის ხარისხის გამოკვლევა წყალსატევის ერთ ან რამდენიმე ადგილზე, რომელიც გამოიყენება ან შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს წყალსარგებლობისათვის, დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (რამდენიმე წელი);

გ) დამაბინძურებლის დადგენა და აღრიცხვა და დაბინძურების შედეგების შეფასება. მაგ., თევზებისა და ფრინველების სიკვდილი ან სხვა უჩვეულო მოვლენები.

2. სინჯების აღება წარმოებს შემდეგი მოწყობილობების გამოყენებით:

ა) **ღია სინჯამლები და ზედაპირული წყლების სინჯამლები** – ღია სინჯამლები არის ჭურჭელი ღია ხვრელით, რომელიც გამოიყენება ტბის ზედაპირიდან ან ზედაპირული ფენებიდან სინჯების ასაღებად. თუ წყლის ზედაპირზე სხვადასხვა ნივთიერება დაცურავს, რეპრეზენტატიული სინჯის აღება შეუძლებელია;

ბ) **დახურული სინჯამლებები** – დახურული სინჯამლები არის ღრუ კორპუსი თავსახურით ან გამანაწილებელი სარქველით, წყლის გარკვეული მოცულობის ასაღებად. გამოიყენება ფსკერზედა წყლის ფენიდან, წყლის გარკვეული მოცულობისა და სიღრმისეული შედგენილი სინჯების ასაღებად. დახურული სინჯამლებების ჩაშვება ხდება ხელით, თოკის (ტროსის) ან საბაგირო ჯალამბარის საშუალებით. ფსკერთან ახლოს წყლის სინჯის აღებისას არ უნდა დაირღვეს ფსკერის ნაღებისა და წყლის გამყოფი ფენა;

გ) **ტუმბოები** – გამოიყენება ხელით ან მექანიკურად მართვადი შემწოვი, წყალქვეშა ან პნევმატური ექვტური ტუმბოები. ტუმბოების ჩაშვება ხდება სასურველ სიღრმეზე ან საჭირო წერტილში ცალკეული, სერიული და სიღრმისეული შედგენილი სინჯების ასაღებად. სინჯის აღებისას წყალქვეშ მომუშავე ტუმბოთი შესაძლებელია წყლის მგრძობიარე ორგანიზმების დაზიანება და არაზუსტი შედეგების მიღება. ამიტომ ტუმბოთი აღებული სინჯის შედეგები აუცილებლად უნდა შედარდეს დახურული სინჯამლების გამოყენებით მიღებულ შედეგებთან. შედეგების ცდომილება შესაძლებელია გამოიწვიოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა: ტუმბოს ტიპი, წყლის მოძრაობის სიჩქარე, წნევა და სხვა.

მუხლი 16. ბუნებრივი და ხელოვნური ტბებიდან წყლის სინჯების აღების წესები

1. ბუნებრივი და ხელოვნური ტბების წყლებში, მოტივტივე ნივთიერებების შემცველი ზედაპირული ფენებიდან სინჯის აღების დროს, გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციალური სინჯამლებები.

2. სივრცეში სინჯის აღების ადგილების სწორი განაწილება შესაძლებელია განისაზღვროს მხოლოდ წანასწარი სამუშაოების შესრულებით, რომლის დროსაც შერჩეულ უნდა იქნეს დიდი რაოდენობით აღების წერტილები, მიღებული ინფორმაციის სტატისტიკური შეფასების მიზნით.

3. ტბაში წყლის დინების გავლენის შესაფასებლად გამოყენებულ უნდა იქნეს კვლევის სპეციალური პროგრამა.

4. თუ ტბა შედგება რამდენიმე აუზისაგან ან გააჩნია რთული სანაპირო ზოლი და ჰორიზონტალური მიმართულებით მნიშვნელოვანი არაერთგვაროვნება (უმეტესად ხელოვნურად მოწყობილი), ამ არაერთგვაროვნების საზღვრების დასადგენად, აუცილებელია სინჯის აღების რამდენიმე წერტილის განსაზღვრა და წინასწარი გამოკვლევების შესრულება. მიღებული მონაცემებით შესაძლებელია სინჯის აღების ყველაზე ეფექტური ადგილების განლაგებისა და მათი რაოდენობის დადგენა.

ა) ჰორიზონტალური მიმართულებით მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი ტბისთვის, საკმარისია ტბის ყველაზე ღრმა ნაწილიდან სინჯის აღების ერთი წერტილის შერჩევა;

ბ) სინჯის აღების წერტილები ზუსტად უნდა განისაზღვროს და აუცილებლობის შემთხვევაში მონიშნოს ტივტივებით;

გ) თუ წყალსატევის დიდი ზედაპირის გამო ტივტივების გამოყენება შეუძლებელია, აღების წერტილების ზუსტი განსაზღვრისათვის გამოიყენება ნავიგაციური მოწყობილობა.

5. სპეციალური გამოკვლევებისათვის სინჯების აღება უნდა წარმოებდეს ერთხელ ან რამდენჯერმე წყლის ობიექტის იმ წერტილებში, სადაც აღინიშნება უჩვეულო მოვლენა. უნდა მოხდეს ამ წერტილების ზუსტი იდენტიფიცირება და შეძლებისდაგვარად სინჯის აღების ოქმს უნდა დაერთოს სურათი ან რუკა.

6. ბუნებრივ და ხელოვნურ ტბებში წყლის ხარისხის ვერტიკალური არაერთგვაროვნების, ასევე ფსკერის ნაღების გავლენისა და მყარი ნაწილაკების დალექვის გამო, წყლის წინასწარი გამოკვლევებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს გამზომი ხელსაწყოებით აღჭურვილი სინჯამღებები (ტემპერატურის, გახსნილი ჟანგბადის კონცენტრაციის, ელექტროგამტარობის, სიმღვრივის, ქლოროფილის ფლოუორესცენციის გასაზომად), რომლებიც ხანმოკლე ინტერვალით უწყვეტი დაკვირვების შესაძლებლობას იძლევიან, ასევე განსაზღვრულ უნდა იქნეს სინჯის აღების სიღრმე წყლის ხარისხის ვერტიკალური არაერთგვაროვნების დასადგენად.

7. ღრმა წყალსატევებში წყლის შესაძლო შიდაცირკულაციის გამო გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი სინჯამღებები, რომლებიც ერთდროულად იხსნება და იხურება.

8. ბუნებრივ და ხელოვნურ წყალსატევებში, წლის განმავლობაში წყლის ხარისხის სეზონური ცვლილების გამო, აღების სიხშირე დამოკიდებულია კვლევის პროგრამაზე. დასაშვებია:

ა) წყლის ხარისხის დახასიათებისათვის ერთეულ აღებებს შორის ერთთვიანი ინტერვალი;

ბ) აღებებს შორის მინიმალური ერთკვირიანი ინტერვალი;

გ) წყლის ხარისხის ექსპრესანალიზის ჩასატარებლად, სინჯის აღება დღეში ერთხელ ან უფრო ხშირად.

9. დღის განმავლობაში წყლის ხარისხის ცვალებადობის გამო, სინჯის აღება უნდა წარმოებდეს ერთსა და იმავე დროს, ამ გავლენის შემცირების მიზნით.

ა) დღის განმავლობაში წყლის ხარისხის ცვალებადობის სპეციალური შესწავლის მიზნით, სინჯის აღება უნდა წარმოებდეს ყოველ 2-3 სთ-ში ერთხელ.

10. სინჯის აღების ტიპის შერჩევა დამოკიდებულია აღების მიზანსა და პროგრამაზე. კერძოდ:

ა) წყლის ხარისხის სპეციალური კონტროლისათვის, უმეტეს შემთხვევაში, წარმოებს წერტილოვანი სინჯების აღება;

ბ) წყლის ხარისხზე მონიტორინგისათვის ჩვეულებრივ აღებულ უნდა იქნეს ერთეული სინჯების სერია, შესაძლებელია შედგენილი სინჯების გამოყენებაც;

გ) სინჯის ღირებულების შემცირების მიზნით, დასაშვებია შედგენილი სინჯების აღება, რაც წარმოდგენას იძლევა წყლის მხოლოდ გაშუალებულ შედეგებზე და არა მის ექსტრემალურ მნიშვნელობებზე ან ხარისხის ცვლილებაზე;

დ) შესაძლებელია მე-10 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტებში მოცემული სინჯის აღების ორივე ტიპის გამოყენება დროის ხანმოკლე შუალედში შედგენილი სინჯებისა და დროის უფრო ხანგრძლივ შუალედში სინჯების სერიის მისაღებად.

11. აღებული სინჯების კონსერვაცია უნდა წარმოებდეს 1-ლი დანართის, მე-2-7 ცხრილებში მოცემული და ანალიზის მეთოდზე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

12. სინჯის შედგენილობის ცვლილების თავიდან აცილების მიზნით, ლაბორატორიაში მიტანილი სინჯები აუცილებელად უნდა შემოწმდეს თუ რამდენად მჭიდროდ არის დალუქული და დაცული სინათლისა და სითბოს ზემოქმედებისაგან.

13. ბუნებრივი და ხელოვნური ტბებიდან სინჯის აღების ოქმი უნდა გაფორმდეს ოქმის სახით.

ბუნებრივი და ხელოვნური ტბებიდან წყლის სინჯის აღების ოქმი

სინჯის მიზანი _____ ადების
 ადების _____ ადგილი

თარიღი: დღე _____ თვე _____ წელი

წყლის დონე _____ მოცულობა

ადების დრო: დასაწყისი _____ დასასრული

ადების მეთოდი _____

სინჯის ტიპი _____ ასაღები _____ მოწყობილობის

სიღრმის სინჯი _____ მიხედვით _____ შედგენილი

სინჯების სერია _____ სხვადასხვა _____ სიღრმიდან

სიღრმიდან შედგენილი სინჯის აღების შემთხვევაში:
 სინჯის აღება _____ მ_დან _____ მ_მდე

დაკვირვებები სინჯის აღების ადგილზე:
 გაყინული ზედაპირით _____ ან მის გარეშე _____ თოვლის საფარის არსებობა

სიღვრივე, გამოწვეული გახსნილი ნაწილაკებით _____ (პლანქტონი)

ფერი _____ სუნი

წყალმცენარეები _____ ზედაპირის ქვეშ (წყლის ქვეშ გაზრდილი)
 ერთად ან ნაწილობრივ მცურავი ან მოცილებული ნაპირებიდან (ამოტივტივებადი)

შენაკადების ხარჯის შეფასება:				
(მაღალი,	საშუალო,			დაბალი)
ამინდი				
ჰაერის				ტემპერატურა
ქარის				სიჩქარე
ქარის				მიმართულება
დრუბლიანობა				
შენიშვნა:				
გაზომვები სინჯის ალების ადგილზე:				
წყლის				ტემპერატურა
pH				
სინჯის	დამუშავებისა	და	კონსერვაციის	მეთოდები
სინჯის	ამლები	ოპერატორის	ვინაობა	(სახელი, გვარი)
შენიშვნა:				

მუხლი 17. მოთხოვნები ატმოსფერული ნალექების სინჯის ალებაზე

1. ატმოსფერული ნალექების (წვიმა, სეტყვა, თოვლი) სინჯების ალების მიზანია სხვადასხვა დამაბინძურებლის (ქიმიური ელემენტები, ორგანული ნივთიერებები, მიკრომინარეები რადიაქტიურის ჩათვლით, მჟავები, ბიოლოგიური აგენტები) სახეობის დადგენა და მისი შემცველობის განსაზღვრა, ზედაპირული წყლების ხარისხზე, ეკოსისტემასა და ბიოტაზე ზეგავლენის დადგენის მიზნით.

2. სინჯების ალება წარმოებს მოცემული რაიონის მეტეოროლოგიურ ან სპეციალურად მოწყობილ სინჯის ასაღებ სადგურებში.

3. სინჯის ალების პროგრამის შესადგენად ზუსტად უნდა განისაზღვროს ალების მიზნები და ამოცანები, სამუშაოს მასშტაბის, სინჯის ასაღები სადგურებისა და სინჯამლებების ქსელის განლაგების სიმჭიდროვის დასადგენად.

4. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სინჯის ალების ადგილი შესაძლებელია განლაგდეს როგორც ცალკეული დამაბინძურებელი წყაროების ან მათი ჯგუფის ზეგავლენის ზონაში, ასევე მის გარეთ.

5. სინჯის ალების პერიოდულობა განისაზღვრება ალების მიზნის, განსასაზღვრი კომპონენტების ცვალებადობის ხარისხისა და მეტეოროლოგიური პირობების მიხედვით.

6. მიზანშეწონილია ატმოსფერული ნალექების წერტილოვანი ან შედგენილი სინჯების ალება. წერტილოვანი სინჯის ალება ხდება ცალკეული წვიმის ან თოვლის მოვლიდან არაუმეტეს 1 საათის ინტერვალში. შედგენილი სინჯის ალება წარმოებს დროის განსაზღვრულ

პერიოდში – თვე, დეკადა, კვირა, დღე-ღამე და ასახავს განსასაზღვრი კომპონენტების საშუალო შემცველობას დროის ამ პერიოდში.

7. მონაცემები მოცემული რეგიონისათვის არ ჩაითვლება რეპრეზენტატიულად:

ა) თუ სინჯის ასაღები სადგურიდან 10 კმ-ში მდებარეობს უწყვეტად მოძუშავე საწარმო ან ქალაქის განაშენიანება, ან ქალაქის შემოგარენი;

ბ) თუ სინჯის ასაღები სადგურიდან 50 კმ-ის ფარგლებში მდებარეობს დაბინძურების წერტილოვანი წყარო (მაგ., წელიწადში გოგირდის ორჟანგის 10 ათას ტონაზე მეტი ემისიით);

გ) თუ სინჯის ასაღები სადგურიდან 1 კმ-ის ფარგლებში მდებარეობს მინერალური სასუქების (ან სხვა მარილების) საწყობი;

დ) თუ სინჯის ასაღები სადგურიდან 1 კმ-ის ფარგლებში განლაგებულია მსხვილი სატრანსპორტო კვანძები ან დიდი რაოდენობით ჩამდინარე წყლების წარმოქმნილი ობიექტები, აგრეთვე თუ 100 მ-ის ფარგლებში მდებარეობს აეროპორტი ან საზღვაო პორტი.

8. წყლის ზედაპირზე სინჯის ასაღები სადგურის მოწყობის აუცილებლობის შემთხვევაში, მხედებისაგან დასაცავად სინჯამღებები უნდა დაიდგას მცურავ ტივტივებზე, პატარა კუნძულებსა და ზღვის კლდეებზე.

მუხლი 18. ატმოსფერული ნალექების სინჯის აღების წესები

1. სინჯის აღება წარმოებს ხელით და ავტომატურად. სინჯამღების სახურავი ნალექის მოსვლის დასაწყისში იხსნება და დამთავრების შემდეგ ავტომატურად იხურება.

2. აღება წარმოებს მხოლოდ ნალექის მოსვლის დროს, სპეციალურად დამუშავებულ შემკრებ ჭურჭელში, რომელიც უნდა მოთავსდეს მიწის ზედაპირიდან 2 მეტრის სიმაღლეზე.

3. ატმოსფერული ნალექის ნიმუშები უნდა შეგროვდეს ნეიტრალური მასალისაგან დამზადებულ სპეციალურ ჭურჭელში:

ა) წვიმის წყალი უნდა შეგროვდეს ვედროს ან ძაბრის დახმარებით და შენახულ იქნეს მასში ნიმუშის საანალიზოდ გაგზავნამდე. საანალიზოდ აუცილებელი ნალექის მინიმალური მოცულობაა 60-80 მლ;

ბ) თოვლი უნდა შეგროვდეს ნებისმიერ ეკრანირებულ ღრმა ცილინდრულ სინჯამღებში, რომელიც შესაძლებელია აღჭურვილი იყოს თოვლის გასადნობი გამათბობელით;

გ) ორგანული ნივთიერებების შემცველი სინჯების შენახვა და ტრანსპორტირება უნდა წარმოებდეს პირექსის ან კვარცისაგან დამზადებული ჭურჭლით;

დ) არაორგანული ნივთიერებების შემცველი სინჯების შენახვა უნდა წარმოებდეს პოლიეთილენის ჭურჭელში, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში დასაშვებია მინის, ტეფლონისა და პოლიპროპილენისაგან დამზადებული ჭურჭლის გამოყენებაც;

ე) ჭურჭლის კედლებზე ადსორბირებული დამაბინძურებელი ნივთიერებების კვალის არსებობისას, მათი ჩამორეცხვა უნდა მოხდეს ნადნობი წყლით. სინჯში მეტალის კვალის არსებობისას, მიზანშეწონილია სინჯის აზოტმჟავით შემჟავება ლითონების იონების შენახვის მიზნით.

4. ტრანსპორტირებისას ჭურჭელი სინჯით მჭიდროდ უნდა იყოს თავდაცობილი და მიტანილ იქნეს ლაბორატორიაში ოპტიმალურად ხანმოკლე დროში.

5. საველე პირობებში სინჯის კვლევისა და ლაბორატორიაში ჩატარებული ანალიზის შედეგები უნდა გაფორმდეს ოქმისა და მოკლე დასკვნების სახით.

ატმოსფერული ნალექის სინჯის აღების ოქმი

აღების		მიზანი
სინჯის		სახეობა
აღების		ადგილი
თარიღი:	დღე _____ თვე _____	წელი _____

ალების დრო: _____	დასაწყისი _____	დასასრული _____
სინჯის		ტიპი
სინჯამლები	მოწყობილობის	ტიპი
გაზომვები	სინჯის	ალების ადგილზე
pH	_____	ელექტროგამტარობა
დაკვირვება	ალების	ადგილზე
გამოყენებული	კონსერვანტის	სახეობა და რაოდენობა

სინჯის		დაყოფა
ნაწილებად _____		
სინჯის	ამლები	ოპერატორის ვინაობა (სახელი, გვარი)

შენიშვნა: _____		

მუხლი 19. მოთხოვნები გრუნტის წყლის სინჯის აღებაზე

1. გრუნტის წყლების სინჯის აღების მიზანია:

ა) გრუნტის წყლების სასმელ-სამეურნეო წყლის წყაროდ, ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენების ვარგისიანობის განსაზღვრა;

ბ) გრუნტის წყლების ხარისხზე პოტენციურად საშიში სამეურნეო ობიექტების ზემოქმედების დადგენა;

გ) გრუნტის წყლების დამაბინძურებლობაზე მონიტორინგი;

დ) გრუნტის წყლების ხარისხის პროგნოზირება.

2. პოტენციურად დაბინძურებული მონაკვეთიდან გრუნტის წყლის სინჯის აღების მიზანია, დადგინდეს: გრუნტის წყლის სიღრმეზე აღების მონაკვეთში დაბინძურების არსებობა, დამაბინძურებლების მიგრაცია, სივრცეში განაწილება, გავრცელების რისკი, დაბინძურების თავიდან ასაცილებელ ღონისძიებებზე კონტროლი და სხვ.

3. სინჯის ასაღებად გამოიყენება შემდეგი ხელსაწყოები:

ა) **ტუმბოები** – სინჯის ასაღებად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ტუმბოები. ზედაპირზე განთავსებული ტუმბო წყალს იღებს 8 მეტრამდე სიღრმიდან, სინჯის აღება უფრო მეტი სიღრმიდან ხდება წყალში ჩაძირული ტუმბოთი. წყალში გახსნილი გაზების განსაზღვრისათვის დაუშვებელია დგუშიანი ტუმბოს გამოყენება;

ბ) **სინჯამლებები** – გამოიყენება სხვადასხვა ტიპის, მოცემულ სიღრმეზე გასაღებ-დასაკეტი ავტომატური სინჯამლებები.

მუხლი 20. გრუნტის წყლის სინჯის აღების წესები

1. ჭაბურღილის ექსპლუატაციამდე აუცილებლად უნდა განისაზღვროს (სიგრძეზე) ნიმუშის ასაღები მონაკვეთები.

2. ახალი ჭაბურღილების ბურღვისას, მიზანშეწონილი არ არის საპოხი ზეთების, ცხიმის მოსაცილებელი ნივთიერებებისა და ა. შ. გამოყენება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია წყლის ანალიზი ორგანული ნივთიერებების შემცველობაზე.

3. მიწისქვეშა წყლის ობიექტის წყლების საანალიზოდ აუცილებელია, წყლის ობიექტის მიდამოში არსებული გრუნტის წყლების გამოკვლევა და მათი შედგენილობის ნებისმიერ ცვლილებაზე ინფორმაციის შეგროვება.

4. გრუნტის წყლის სინჯის აღების ადგილის შერჩევას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მიწისქვეშა დინებების გრადიენტი და დაწვრილებითი ინფორმაცია იმ მიწისქვეშა ქანების შედგენილობის შესახებ, რომელშიც გაივლის ჭაბურღილი, შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

5. დიფუზურად დაბინძურებული გრუნტის წყლების ანალიზისას, დასაშვებია დიდი დიამეტრის მქონე ჭაბურღილების გამოყენება, ასეთი ჭაბურღილებიდან მიღებული წყლის ნიმუშები ახასიათებს პრაქტიკულად მთელ წყალშემცველ ფენას. თუ დამაბინძურებლის კონცენტრაცია მცირეა შესაძლო დიდი განზავების გამო, გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ მცირე დიამეტრის ჭაბურღილები.

6. დაბინძურების წერტილოვანი წყაროების არსებობისას, აუცილებელია გრუნტის წყლების კონტროლი დაბინძურების წყაროს ქვეშ და დაბინძურების გავრცელების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა. სინჯის აღების წერტილები უნდა განლაგდეს მცირე მანძილებზე, დამაბინძურებელი წყაროდან ჰიდრავლიკური გრადიენტის შემცირების მიმართულებით.

7. გრუნტის წყლების სინჯის აღების სიხშირე და დრო უნდა განისაზღვროს თანახმად სანწიდან-ისა „სასმელი წყალი. ჰიგიენური მოთხოვნები სასმელი წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემების წყლის ხარისხისადმი. ხარისხის კონტროლი”.

8. მიწისქვეშა წყლების დამუშავების გარეშე სასმელად გამოყენების შემთხვევაში, ანალიზებს შორის ინტერვალი მკვეთრად მცირდება, ამასთან, უწყვეტად უნდა იზომებოდეს pH, t °C, ელექტროგამტარობა. იმ შემთხვევაში, თუ ეს მაჩვენებლები არ შეესაბამება დადგენილ ჰიგიენურ ნორმატივებს, უნდა ჩატარდეს უფრო ხშირი, დაწვრილებითი ანალიზები.

მუხლი 21. გრუნტის წყლის სინჯის აღების მეთოდის შერჩევა

1. გრუნტის წყლიდან აღებული ნიმუშები უნდა ასახავდეს წყლის შედგენილობის ცვლილებას დროის, ფართობისა და წყალშემცველი ჰორიზონტის სიღრმის მიხედვით.

2. სინჯის აღების წინ უნდა წარმოებდეს ჭაბურღილიდან არანაკლებ მისი მოცულობის ტოლი წყლის რაოდენობის ამოტუმბვა და მხოლოდ ამის შემდეგ აღებულ უნდა იქნეს სინჯები, ჭაბურღილში, მთელი წყალშემცველი ფენისაგან განსხვავებული, სხვადასხვა მინარევის კონცენტრირების შესაძლებლობის გამო.

3. სინჯის აღების მეთოდის (ამოტუმბვა და სიღრმიდან აღება) შერჩევა უნდა მოხდეს აღების ადგილზე, ბუნებრივი პირობებიდან (მიწისქვეშა დინებები, გრუნტის წყლების ხასიათი და ა.შ.) გამომდინარე.

4. ამოტუმბვის მეთოდით სინჯის აღება უნდა წარმოებდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გრუნტის წყლის შედგენილობა სიღრმეზე არ იცვლება, ან როდესაც წყალშემცველი ფენის ჯამური შედგენილობის ინტეგრალური ნიმუშის მიღება საკმარისია სიმაღლის მიხედვით. სინჯის აღების წინ აუცილებელია ჭაბურღილში მდგარი მთელი წყლის წინასწარი ამოტუმბვა.

5. სიღრმიდან აღებისას უნდა მოხდეს გარკვეულ სიღრმეზე სინჯამღების ჩაშვება, წყლით შევსება და ამოღება. ჭაბურღილში სხვადასხვა დინების არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს მიღებული შედეგების ცდომილება მოცემულ წერტილში, რის გამოც ამ მეთოდის გამოყენება შეზღუდულია.

6. იმ შემთხვევაში, თუ სინჯის აღების ორივე ზემოთ აღნიშნული მეთოდი მიუღებელია, დასაშვებია სინჯის აღების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება „in situ“: ფორიანი ფინჯნები,

პიეზომეტრები, ქანების ნიმუშების აღება, შემდგომში ვაკუუმტუმბოთი ამოქაჩვით ან გაზების გამოდევნით.

7. ნიმუშების ტრანსპორტირება, კონსერვაცია და შენახვა უნდა წარმოებდეს 1-ლი დანართის, მე 2-7 ცხრილების მოთხოვნების შესაბამისად.

8. ტემპერატურისა და წნევის ცვალებადობამ, ატმოსფერულ ჰაერთან კონტაქტმა, შესაძლებელია შეცვალოს მიწისქვეშა წყლების ნიმუშების ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური შედგენილობა, ამიტომ მიწისქვეშა წყლების ნიმუშები შენახულ უნდა იქნეს და ანალიზი ჩატარდეს ჰაერთან კონტაქტის გარეშე. გაზომვათა მაქსიმალურად შესაძლებელი რაოდენობა აუცილებლად უნდა შესრულდეს „in situ“ ან ნიმუშის ამოღებისთანავე. ასეთი პარამეტრებია: pH, t°C, ელექტროგამტარობა, ელექტროქიმიური პოტენციალი, ტუტინობა, გაზების შემცველობა.

სინჯის ხანგრძლივად შენახვის აუცილებლობისას, უნდა მოხდეს მისი ფილტრაცია, გაცივება 4°C-ტემპერატურამდე ან გაყინვა -20°C-მდე.

10. სინჯის აღებისას დაცულ უნდა იქნეს უსაფრთხოების შემდეგი მოთხოვნები:

- ა) აუცილებელია აღების ადგილზე ჭაბურღილის გარშემო ნაკვეთის გამაგრება;
- ბ) აღებას უნდა ესწრებოდეს მინიმუმ ორი ადამიანი;
- გ) აუცილებელია ჭაბურღილში ცხელი და ფეთქებადი გაზების არსებობის დროული გამოვლენა;

დ) თავიდან აცილებულ უნდა იქნეს ჭაბურღილის მიდამოს დაბინძურება;

ე) ოპერატორები, რომლებიც აწარმოებენ სინჯის აღებასა და ნიმუშის ანალიზს, უნდა გადიოდნენ რეგულარულ სამედიცინო შემოწმებას, ძლიერ დაბინძურებულ გარემოსა და მომწამვლელ გაზებთან შესაძლო კონტაქტის გამო.

11. გრუნტის წყლის სინჯის აღება უნდა გაფორმდეს ოქმის სახით.

გრუნტის წყლის სინჯის აღების ოქმი

სინჯის მიზანი _____	აღების
აღების _____	ადგილი
თარიღი: დღე _____ თვე _____	წელი
აღების დრო: _____ დასაწყისი _____ დასასრული	
აღების წერტილი _____	
წყალშემცველი აღწერა _____	ფენის
აღების _____	მეთოდი
სინჯის ასაღები მოწყობილობის	ტიპი
ტუმბოს _____ მოთავსება/მოთავსების	
სიღრმე _____	
წყალშემცველი _____ ფენის	წყლის
დონე _____	
აღების _____	სიღრმე
სინჯის ტიპი _____	

სინჯის მეთოდები	დამუშავებისა	და	კონსერვაციის
შენახვისა	და		ტრასპორტირების
პირობები			
სინჯის	ამლები	ოპერატორის	ვინაობა (სახელი, გვარი)

შენიშვნა:

მუხლი 22. მოთხოვნები ზღვის წყლის სინჯის აღებაზე

1. სინჯის აღების ადგილის შერჩევა დამოკიდებულია კვლევის მიზანსა და იმ ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ წყლის შედგენილობაზე. სინჯის აღების წერტილების დადგენა უნდა წარმოებდეს წინასწარი შესწავლის შემდეგ, წყლის შედგენილობაზე ზღვის მოქცევის გავლენის გათვალისწინებით.

2. სინჯის აღება ჩვეულებრივ წარმოებს გემბანიდან, შვეულმფრენის ბორტიდან და მისთ. მდინარეთა ვიწრო შესართავებისა და ყურეების წყლის სინჯის აღება ხდება ნაპირებიდან, მაგალითად, პირსებიდან, ტალღსაჭრელებიდან და ხიდებიდან.

3. ზღვის მოქცევისას წყლის სინჯის აღების მიზანია: შედგენილობის მიხედვით წყლის საშუალო სინჯის მიღება, ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად წყლის შედგენილობის არაერთგვაროვნებისა და კონკრეტული წყაროდან ნახმარი წყლების გავრცელების შესწავლა და სხვ.

4. ზღვის მოქცევისას წყლის ხარისხის (ტემპერატურა, მარილიანობა, ჟანგბადის კონცენტრაცია, ტურბულენტობა და სხვ.) ზუსტი კვლევისათვის, მისი შედგენილობის არაერთგვაროვნების გამო, გამოიყენება სხვადასხვა ხელსაწყო, მოწყობილობა, ფლუორესცენტული საღებავი და სხვ.

5. ზღვის სანაპირო რაიონების (სანაპიროები, ყურეები, სანაპიროს მიმდებარე მონაკვეთები ნაპირიდან 3 კილომეტრამდე მანძილით) წყლის შედგენილობის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებით არაერთგვაროვნების, ნიადაგის ეროზიის, მდინარის ნაკადის და ნახმარი წყლების ზღვის წყლის ხარისხზე ზეგავლენის გამო, კვლევა უნდა წარმოებდეს მე-7 და მე-8 თავებში მოცემული ხელსაწყოებისა და მოწყობილობების გამოყენებით.

6. ღია ზღვის წყლის კვლევისას ჰორიზონტალური და ვერტიკალური დინებების საზღვარზე (წყლის შედგენილობის მნიშვნელოვანი მერყეობის გამო) წყლის ტემპერატურის, მარილიანობის, ჟანგბადის კონცენტრაციისა და სხვა მაჩვენებლების განსაზღვრის მიზნით, მიზანშეწონილია შერეული სინჯების აღება. დასაშვებია წყლის ერთგვაროვანი ფენიდან სინჯის ერთჯერადი აღება.

7. სინჯის აღების პერიოდულობის დადგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს: ნებისმიერ ფიქსირებულ ადგილზე სინჯის შედგენილობის ვარიაციების შესაძლებლობა (წამებიდან წლების ჩათვლით), ხანგრძლივი სეზონური ფაქტორები (ტემპერატურა, ნალექები, მზის რადიაცია), ასევე ხანმოკლე ცვლილებები (ზღვის მოქცევის პერიოდულობა, პლანქტონის ბიომასის გამრავლება და სხვა);

8. სინჯების რაოდენობის განსაზღვრისას, წყლის ხარისხის ადეკვატური შეფასების მიზნით გათვალისწინებულ უნდა იქნეს ზღვის მოცემულ მონაკვეთში მიმდინარე ფიზიკური და ბიოლოგიური პროცესები.

9. სინჯების აღება არ უნდა წარმოებდეს ექსტრემალურ პირობებში (ამინდი, წელიწადის დრო, ზღვის მოქცევის შეცვლა მიქცევით და სხვა). ზღვის მოქცევისას და სანაპირო

წყლებიდან სინჯები აღებულ უნდა იქნეს საათობრივი (ან უფრო დიდი) ინტერვალით, მოქცევის ციკლის შემდეგ.

10. ზედაპირული წყლის სინჯის ასაღებად ჭურჭელს ან ბოთლს წინასწარ უნდა გამოეველოს ზღვის წყალი, ჩაიყურსოს წყლის ქვეშ დინების ან ქარის მიმართულებით. სინჯის აღებისას ოპერატორმა უნდა ისარგებლოს რეზინის ხელთათმანებით. ასაღები ჭურჭელი აღჭურვილ უნდა იქნეს საცობით, რომელიც გაიხსნება წყლის ქვეშ. ასევე მიზანშეწონილია სხვადასხვა მექანიკური სინჯამღებების გამოყენება, რომელიც მოცემულია VII თავში.

11. ზღვის წყლის ხარისხზე მონიტორინგისას, სინჯის ასაღებად მიზანშეწონილია ავტომატური მოწყობილობის გამოყენება, განსაკუთრებით ძლიერი ქარების დროს, როდესაც ზღვაში გასვლა სახიფათოა.

12. აღებული სინჯების ანალიზი უნდა ჩატარდეს შეძლებისდაგვარად ადგილზე სანაპიროს ლაბორატორიაში ან სამეცნიერო-კვლევითი გემის ბორტზე.¹

13. სინჯების შენახვა დასაშვებია ხანმოკლე დროის განმავლობაში 4°C ტემპერატურაზე, წინასწარი გაფილტვრისა და კონსერვაციის შემდეგ.

14. ზღვის წყლის სინჯის აღება უნდა გაფორმდეს ოქმისა და მოკლე დასკვნების სახით.

ზღვის წყლის სინჯის აღების ოქმი

სინჯის	აღების	მიზანი		
აღების	ადგილი	თარიღი		
განედი	გრძედი	დრო		
აღების	ადგილის	აღწერა		
ჰიდროგრაფიული		პირობები		
მოქცევის დახასიათება :				
მიმართულება	მიახლოებითი	სიჩქარე		
წყლის	მაღალ	დონეზე	დგომის	დრო
წყლის	დაბალ	დონეზე	დგომის	დრო
ამინდი:				
ქარის	მიმართულება			ძალა
ღრუბლიანობა				ზღვის
მდგომარეობა				

სინჯის აღების ადგილზე ჩასატარებელი განსაზღვრებები

სიღრმე, მ	ტემპერატურა, °C	გახსნილი ქანგბადი, %	სინჯი
			ნომერი დრო

აღების	მიტოვდი			
სინჯის	ასაღები	მოწყობილობის	ტიპი	
სინჯის	შენახვისა	და	კონსერვაციის	მეთოდები

სიღრმის					პროფილი
სინჯის	ამლები	ოპერატორის	ვინაობა	(სახელი,	გვარი)
შენიშვნა:					

მუხლი 23. მოთხოვნები ჩამდინარე წყლის სინჯის აღებაზე

1. სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების სინჯის აღების მიზანია: ნახმარ წყლებში დამაბინძურებლების კონცენტრაციის განსაზღვრა, დამაბინძურებლების შესაძლო წყაროების დადგენა და გამწმენდი ნაგებობების მუშაობის ეფექტურობის შეფასება.

2. სინჯის აღების პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ კონკრეტულ მიზნებს:

- ა) ჩამდინარე წყლების ნაკადში დამაბინძურებლის კონცენტრაციის განსაზღვრა;
- ბ) ჩამდინარე წყლებში შეტანილი დამაბინძურებლის მასის განსაზღვრა;
- გ) ჩამდინარე წყლების გამწმენდი სადგურების პროექტირებისათვის საწყისი მონაცემების განსაზღვრა;

დ) ჩამდინარე წყლებში დამაბინძურებლის კონცენტრაციის დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის განსაზღვრა;

ე) ჩამდინარე წყლების ნაკადის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილების დადგენა დღის, კვირის, თვისა და წლის განმავლობაში.

3. სინჯის ასაღებად მოწყობილობამ არ უნდა გამოიწვიოს ნიმუშის შედგენილობის ცვლილება (აღსორბცის, აორთქლებისა და სხვ. გამო) და ჭურჭელში (კონტეინერში) გარეშე სხვა ნივთიერებების მოხვედრა.

4. ასაღებად გამოიყენება ვედრო, ფართოყელიანი ბოთლები, ხაპია და სხვადასხვა კონსტრუქციის ავტომატური მოწყობილობა.

- ა) დასაშვებია პლასტიკური მასალისაგან დამზადებული ჭურჭლის გამოყენება;
- ბ) ნავთობის, ნახშირწყალბადების, სარეცხი საშუალებებისა და პესტიციდების განსაზღვრისათვის სინჯის ასაღებად გამოიყენებულ უნდა იქნეს მინის ჭურჭელი.

5. სინჯამლების ტიპის შერჩევასა და ცულ უნდა იქნეს შემდეგი წესები:

ა) თხიერი სინჯის აღების მინიმალურმა სიჩქარემ უნდა შეადგინოს 0,5 მ/წმ (ფაზების გაშრეების თავიდან აცილების მიზნით);

ბ) აღებათა შორის ინტერვალი რეკომენდებულია 5 წუთიდან 1 საათამდე;

გ) სინჯის მოცულობის გაზომვის სიზუსტე არანაკლებ 5% უნდა იქნეს.

6. სინჯის აღების ადგილის შერჩევა უნდა წარმოებდეს ნაკადის მაღალი ტურბულენტობის ადგილებში (თუ ტურბულენტობა არ არის, უნდა შეიქმნას ხელოვნურად), წარმოების ტექნოლოგიური სქემის გათვალისწინებით.

7. იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია ზედაპირზე მოცურავე ნაგვის ხარისხობრივი განსაზღვრა, სინჯის აღება უნდა წარმოებდეს ზედაპირული ფენიდან.

8. ნახმარი წყლების ნიმუშების აღება უნდა მოხდეს დროის განსაზღვრულ შუალედებში. ნიმუშების აუცილებელი რაოდენობის შერჩევა უნდა წარმოებდეს სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე.

9. ერთი რთული ნიმუშის (სხვადასხვა ულუფის შერევით მიღებული ნიმუშის) აღების დრო შესაძლებელია გაგრძელდეს რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე. აღების ხანგრძლივობა შესაძლებელია შეიზღუდოს ნიმუშში ნივთიერებების სტაბილურობის გამო. იმ შემთხვევაში, თუ ნიმუში შეიცავს ორგანულ კომპონენტებს, აღების ხანგრძლივობამ არ უნდა გადააჭარბოს 24 საათს.

10. ჩამდინარე წყლის სინჯის აღება უნდა გაფორმდეს ოქმისა და მოკლე დასკვნების სახით.

სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნახშიარი წყლების სინჯების აღების ოქმი					
სინჯის	აღების				მიზანი
აღების	თარიღი	_____	დღე _____	თვე _____	წელი
აღების					ადგილი
აღების მეთოდი:					ნიმუში
დროის	მიხედვით	შედგენილი			
დინების	მიხედვით				შედგენილი
ნიმუში					
სინჯის	ასაღები	მოწყობილობის		ტიპი	
სინჯებს	შორის	ინტერვალი	ან	ნაკადი	
წერტილოვანი	სინჯების		წუთი ან მ ³	მოცულობა	
აღების					დასაწყისი
აღების	თარიღი და დრო				დასასრული
შენახვისა	და	თარიღი და დრო		მეთოდი	
კონსერვაციის					
გაზომვები სინჯის აღების ადგილზე					
განსაზღვრა	შედეგი	გაზომვის	დრო		
ერთეული					
ხარისხზე					კონტროლი
სინჯის	ამღები	ოპერატორის	ვინაობა	(სახელი,	გვარი)
შენიშვნა					

მუხლი 24

1. სამრეწველო საწარმოების, კომუნალური მომსახურეობისა და სასმელი წყლის გაწმენდის შემდეგ წარმოქმნილი წიდის კვლევის მიზანია:

ა) წიდაში დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციის განსაზღვრა, უტილიზაციის ან ჩამარხვის წინ;

ბ) ჩამდინარე წყლების გამწმენდი საწარმოებისა და დანადგარების დასაპროექტებლად მონაცემების მიღება;

გ) სოფლის მეურნეობაში წიდის სასუქად გამოყენების ვარგისიანობის დადგენა;

დ) ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგიისა და წყალსადენის ქსელში ბუნებრივი წყლების მიწოდებამდე დამუშავების ახალი მეთოდების შესამუშავებლად მონაცემების მიღება.

2. თუ ნახმარი წყლის გაწმენდის პროცესი სტაბილურად მიმდინარეობს, დასაშვებია წიდის სინჯის აღება კვირაში ერთხელ.

3. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სინჯის აღებას გამწმენდი ნაგებობების სხვადასხვა წერტილიდან და სისტემიდან: ავზებიდან, არხებიდან, ნაყარიდან, გროვებიდან, ვაგონებიდან, სატრანსპორტო ხაზებიდან და სხვა.

მუხლი 25. ლამის ნადებისა და ნალექის სინჯების აღებისა და დამუშავების წესები

1. წინამდებარე წესებში მოცემულია მოთხოვნები ჩამდინარე წყლების ლამის ნადებისა და ნალექის, ასევე წყალსამეურნეო ობიექტების წყლის, სუსპენზიების, მლაშე და მტკნარი წყლების ნალექის სინჯების აღებისადმი.

2. სინჯის შენახვის მეთოდის შერჩევა უნდა წარმოებდეს ნიმუშების აღებამდე კონსერვაციის ხერხის შერჩევა დამოკიდებულია ძირითადად ნიმუშების აღების მიზანზე.

ა) ლამის ნადებისა და ნალექის ნიმუშების კონსერვაციის მეთოდი უნდა შეირჩეს სინჯის აღების პროგრამისა და ანალიტიკური მეთოდების მოთხოვნების მიხედვით.

3. ლამის ნადებისა და ნალექის ნიმუშების დამუშავების, კონსერვაციის და შენახვის მეთოდებმა უნდა უზრუნველყოს ნიმუშის შედგენილობის შესაძლო (ქიმიური და/ან ბიოლოგიური) ცვლილებების მინიმუმამდე შემცირება და დაბინძურების თავიდან აცილება.

4. ლამის აღების მიზანია: ლამის მიერ აბსორბირებული ან ადსორბირებული ნივთიერებების ქიმიური ბუნებისა და რაოდენობის დადგენა; მყარ და თხევად ფაზებს შორის ქიმიური ნივთიერებების განაწილებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა (მაგ., ნაწილაკების ზომა, ორგანული ნივთიერებების რაოდენობა, მინერალიზაცია, ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალი); ლამის ან ნალექის ცალკეული ფაზების ჯამში კომპონენტების განსაზღვრა, ასევე **ფიზიკური კვლევა** – ლამის ნადების სტრუქტურის, ტექსტურისა და ნალექების ფენების წარმოქმნის შესწავლა; **ბიოლოგიური კვლევა** – ლამის ნადებისა და ნალექების ტოქსიკოლოგიური, ეკოტოქსიკოლოგიური და ეკოლოგიური შესწავლა.

5. ნიმუში, რომელიც არ შეიცავს ჟანგბადს, საჭიროებს კონსერვაციის შესაბამის მეთოდებს – ჟანგბადის მიწოდების გარეშე.

6. თუ თხიერი ლამის ნადების შეგროვებისას ნიმუშის გაცივება შეუძლებელია (მაგ., ჰაერის მაღალი ტემპერატურის დროს), სულფიდის განსაზღვრისათვის ნიმუშის კონსერვაცია უნდა განხორციელდეს pH-ის 10,5-ზე მეტად გაზრდით.

7. მიკრობიოლოგიური ანალიზისათვის სინჯების აღებისას, მიკრობთა აქტივობით გამოწვეული ცვლილებების (ნიტრიტი/ამონიუმის ნიტრატის შემცველობის ცვლილება, ჟანგბადის ბიოქიმიური მოხმარების შემცირება ან სულფატების აღდგენა სულფიდებამდე) შემცირების მიზნით, სინჯები ანალიზის ჩატარებამდე უნდა ინახებოდეს (შეძლებისდაგვარად) გაციებულ მდგომარეობაში, გაყინვის გარეშე.

8. ბაქტერიოლოგიური კვლევისათვის სინჯის ასაღებად გამოყენებულ უნდა იქნეს 175°C-ზე 1 საათის განმავლობაში გასტერილებული მინის ჭურჭელი (კონტეინერი). შესაძლებელია იმ პლასტიკური მასალისაგან დამზადებული ჭურჭლის გამოყენება, რომელიც უარყოფით გავლენას არ ახდენს მიკროორგანიზმების აქტივობაზე.

9. მოთხოვნები ლამის ნადებისა და ნალექის კონსერვაციისა და შენახვის მეთოდებზე მოცემულია 1-ლი დანართის მე-8 ცხრილში.

თავი VII

ზოგადი მოთხოვნები სინჯის ასაღები მოწყობილობებისადმი

მუხლი 26

1. სინჯის აღებისა და შენახვისათვის შერჩეულმა ჭურჭელმა უნდა უზრუნველყოს:

ა) სინჯის შედგენილობის დაცვა განსასაზღვრი მაჩვენებლების დაკარგვისაგან ან სხვა ნივთიერებებით დაბინძურებისაგან;

ბ) ექსტრემალური ტემპერატურებისა და რღვევისადმი მდგრადობა; მჭიდროდ და ადვილად თავის დახურვის შესაძლებლობა; აუცილებელი ზომები, ფორმა, მასა; განმეორებით გამოყენების ვარგისიანობა;

გ) შუქშელწევადობა;

დ) ჭურჭლისა და საცობის დასამზადებლად გამოყენებული მასალის ქიმიური, (ბიოლოგიური) ინერტულობა (მაგალითად, ბორსილიკატის ან ნატრიუმ-კირიან მინას შეუძლია სინჯში გაზარდოს ნატრიუმის ან სილიციუმის შემცველობა);

ე) ჭურჭლის კედლის გაწმენდისა და დამუშავების, მძიმე მეტალებითა და რადიონუკლიდებით ზედაპირული დაბინძურების მოცილების შესაძლებლობა.

2. დასაშვებია სინჯის ასაღებად ერთჯერადი ჭურჭლის გამოყენება.

3. მყარი და ნახევრადთხიერი სინჯების ასაღებად გამოიყენება ტოლჩა ან ფართოყელიანი ბოთლები.

4. პარაზიტოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრისათვის ჭურჭელი აღჭურვილ უნდა იქნეს მჭიდრო საცობით.

ა) დაუშვებელია სინჯის აღება ვედროსმაგვარ ღია ჭურჭლში.

5. ვიწრო და ფართოყელიანი, მოსახრახნსახურავიანი ჭურჭელი აღჭურვილ უნდა იქნეს ინერტული პლასტმასის (მაგ., პოლიტეტრაფტორეთილენის) ან მინის საცობებით.

ა) დაუშვებელია რეზინის საფენების ან საცხის გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ ჭურჭელი გამიზნულია ორგანულ ან მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებზე სინჯის ასაღებად.

6. შუქმგრძობიარე ინგრედიენტების (ზღვის წყალმცენარეების ჩათვლით) შემცველი სინჯების შესანახად გამოყენებულ უნდა იქნეს შუქგაუმტარი ან არააქტიური მინისაგან დამზადებული ჭურჭელი, რომელიც სინჯის შენახვის მთელი პერიოდის განმავლობაში უნდა მოთავსდეს შუქგაუმტარ ტარაში.

7. მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრისათვის გამიზნული ჭურჭელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უძლებდეს სტერილიზაციის დროს მაღალ – 175°C ტემპერატურას 1 სთ. (მათ შორის საცობები და დამცავი ხუფები);

ბ) ჭურჭლიდან სინჯში არ უნდა ხდებოდეს ისეთი ქიმიური შენაერთების გამოყოფა, რომლებიც გავლენას მოახდენენ მის შიგთავსზე;

გ) უფრო დაბალ ტემპერატურაზე სტერილიზაციისას (მაგალითად, სტერილიზაცია ორთქლით), შესაძლებელია პოლიკარბონატისაგან ან თერმომდგრადი პოლიპროპილენისაგან დამზადებული ჭურჭლის გამოყენება;

დ) საცობისა და სახურავის სტერილიზაცია უნდა წარმოებდეს ისევე, როგორც ჭურჭლის;

ე) მიკრობიოლოგიური სინჯის ასაღებად გამოყენებული ნებისმიერი ჭურჭელი თავისუფალი უნდა იყოს მჟავე, ტუტე და ტოქსიკური შენაერთებისაგან;

ვ) მინის ჭურჭელი უნდა გასუფთავდეს ჩვეულებრივი მეთოდით (წყალი, სარეცხი საშუალებები, შემდგომ ქრომპიკი), გამოეწვოს 10% აზოტმჟავა და გამოხდილი წყალი, მძიმე მეტალებისა და ქრომატების კვალის მოსაცილებლად;

ზ) ქლორიანი წყლის სინჯების ასაღებად, სტერილიზაციის წინ, ჭურჭელში შეტანილ უნდა იქნეს ნატრიუმის თიოსულფატი. ასეთი დამუშავებით შესაძლებელია ქლორის ბაქტერიებზე მოქმედების თავიდან აცილება;

თ) იცავდეს სინჯს გარეგანი დაბინძურებისაგან;

ი) ჭურჭლის მასალა არ უნდა მოქმედებდეს მიკროორგანიზმების ცხოველქმედებაზე;

კ) გააჩდეს მჭიდრო თავსახური (სილიკონის ან სხვა მასალის) და დამცავი (ალუმინის ფოლგის ან სქელი ქაღალდის) ხუფი.

მუხლი 27

1. სინჯამღების გამოყენება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) მინიმუმამდე ამცირებდეს სინჯამღებსა და სინჯს შორის კონტაქტის დროს;
- ბ) დამზადებულ იქნეს ისეთი მასალისაგან, რომელიც არ დააბინძურებს სინჯს;
- გ) გააჩნდეს გლუვი ზედაპირი;

დ) კონსტრუირებულ და დამზადებულ უნდა იქნეს იმ მასალისაგან, რომელიც მისადაგებული იქნება შესაბამისი ანალიზის (ქიმიური, ბიოლოგიური ან მიკრობიოლოგიური) ჩასატარებლად.

მუხლი 28

1. წყლის სინჯების აღება წარმოებს ხელით, სპეციალური სამარჯვით ან ავტომატიზებული მოწყობილობის გამოყენებით.

2. სინჯების ასაღებად ავტომატიზებული მოწყობილობების შემუშავებისა და შერჩევას, სინჯის აღების პროგრამის გათვალისწინებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- ა) კონსტრუქციის გამძლეობა;
- ბ) წყალში კოროზიისა და ბიოდაზიანებისადმი მდგრადობა;
- გ) ექსპლუატაციისა და მართვის სიმარტივე;
- დ) მყარი ნაწილაკებისაგან თვითგაწმენდის შესაძლებლობა;
- ე) სინჯის აღებული მოცულობის გაზომვის შესაძლებლობა;
- ვ) ანალიტიკური მონაცემების ხელით აღებულ სინჯებთან კორელაციის უზრუნველყოფა;
- ზ) სინჯის ასაღები ჭუჭლის ადვილად ამოღების, გაწმენდისა და აწყობის შესაძლებლობა;
- თ) სინჯის მინიმალური მოცულობის – 0,5 დმ³-ის აღების უზრუნველყოფა;

ი) სინჯის სიბნელეში შენახვა გარემოს 40°C-მდე ტემპერატურის დროს, ტემპერატურასა და დროზე დამოკიდებული სინჯების არანაკლებ 24 სთ-ის განმავლობაში 4°C ტემპერატურაზე შენახვის უზრუნველყოფა;

კ) აუცილებლობის შემთხვევაში ფაზების გაყოფის თავიდან ასაცილებლად სითხის სიჩქარის რეგულირების შესაძლებლობა;

ლ) მინიმალური 12 მმ შიდა დიამეტრის მქონე წყლის გამომშვები მოწყობილობის არსებობა და მყარი ნაწილაკების დაგროვებისა და დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით ნაკადის მიმართულებით საფარის დაყენება;

მ) ცალკეულ ჭურჭელში სინჯების განმეორებით აღების შესაძლებლობა;

ნ) სინჯამღების კონსტრუქციის ჭარბი ტენიანობისაგან (ატმოსფერული და საკვლევი წყლის აორთქლებისას) და წელიწადის ცივ დროს გაყინვისაგან დაცვა.

3. გადასატანი სინჯამღები მოწყობილობა უნდა იყოს მსუბუქი, დაცული ატმოსფერული მოვლენების ზემოქმედებისაგან და გარემოს პირობების ფართო დიაპაზონში მუშაობისათვის გამოსაყენებელი.

თავი VIII**სინჯის ასაღები მოწყობილობების ტიპები****მუხლი 29**

1. განსაზღვრულ სიღრმეზე წერტილოვანი სინჯის ასაღები მოწყობილობები. განსაზღვრულ სიღრმეზე წერტილოვანი სინჯის ასაღებად გამოიყენება ბატომეტრი. დასაშვებია წყლის სინჯის აღება ბოთლით. ბოთლს უნდა ეხუროს საცობი, მიემაგროს თოკი და ჩაიდგას მძიმე ჩარჩოში ან თოკზე დაეკიდოს სიმძიმე. ბოთლი ჩაშვებულ უნდა იქნეს წინასწარ შერჩეულ სიღრმეზე, თოკის საშუალებით უნდა მოეძროს საცობი, წყლით ბოლომდე შევსების შემდეგ ამოღებულ უნდა იქნეს წყლიდან და თავის დაცობამდე გადმოისხას წყალი ისე, რომ საცობის ქვეშ დარჩეს ჰაერის მცირე ფენა.

ა) სინჯის ასაღებად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს სპეციალური ბოთლები, მაგალითად, ბოთლები ამოტუმბული ჰაერით;

ბ) მცირე სიღრმიდან წყლის სინჯების აღება (განსაკუთრებით ზამთარში) დასაშვებია ჭოკზე მიმაგრებული ბოთლით;

გ) წყლის ვერტიკალური პროფილის გამოსაკვლევად, ფენოვანი სტრუქტურისას დასაშვებია დანაყოფებიანი ჭიქის ან ორივე ბოლოდან გახსნილი პლასტმასის ან უჟანგავი მეტალის ცილინდრის გამოყენება. ცილინდრის ზედაპირზე ამოღებამდე, მისი ორივე ბოლო უნდა დაიხუროს სპეციალური მოწყობილობის გამოყენებით (სამართი ტროსით).

2. ფსკერის ნადების სინჯის ასაღები მოწყობილობებია:

ა) ფსკერის ნადების სინჯის აღება წარმოებს ფსკერის ამომხაპველის საშუალებით, რომელიც თავისი მასით ან მოქმედების უნარით შეესაბამება გრუნტის ქვედა ფენის ჩაწოლას;

ბ) ნავიდან ან კატერიდან ფსკერის ნადების სინჯის აღებისას, გრუნტის ტიპის მიხედვით, გამოყენება კოლოფისებური ან ციციხვისებური ფსკერმხაპავები.

გ) 1/40 მ² სატაცი ფართობის, შემსუბუქებული მოდელის ფსკერმხაპავების ჩაშვება და ამოღება წარმოებს მექანიკური ჯალამბრის მეშვეობით ან მისი ხელში დაჭერით, დამძიმებული ფსკერმხაპავისა და 1/25 მ² სატაცი ფართობის ფსკერმხაპავის ჩაშვება წარმოებს გეშიდან, ელექტრული ჯალამბრის მეშვეობით;

დ) წყლის ობიექტების სანაპირო ზონიდან, 2,5 მ სიღრმემდე სინჯის ასაღებად გამოიყენება ფსკერმხაპავები, რომელთა ჩაშვება ხდება შტანგით (1/40მ² სატაცი ფართობით) და მილისებრი ფსკერმხაპავი (1/250 მ² სატაცი ფართობით);

ე) ფსკერმხაპავის შერჩევა უნდა წარმოებდეს სინჯის აღების ადგილის, წყლის მოძრაობის სიჩქარის, გრუნტის ტიპისა და არსებული სანაოსნო მოწყობილობების მიხედვით;

ვ) ფსკერის ნადების ვერტიკალური პროფილის გამოსაკვლევად გამოიყენება მილოვანი სინჯამლები;

ზ) ბენტოსის ხარისხიანი კვლევისათვის, სინჯების აღება წარმოებს ფსკერმხაპავების, საფხეკების (ასტამის), მიწახაპიებისა და სხვადასხვა კონსტრუქციის დიდი ბადეების დახმარებით. საფხეკები გამოიყენება წყალსატევის წყალმცირე მონაკვეთებზე, მიწახაპიები – როგორც წყალმცირე, ისე ღრმა უბნებზე.

3. სინჯის ასაღები ავტომატური მოწყობილობებია:

ა) გამოიყენება ორი ძირითადი ტიპის: დროზე დამოკიდებული და მოცულობაზე დამოკიდებული ავტომატური სინჯამლებები. დროზე დამოკიდებული სინჯამლებებით წარმოებს დისკრეტული, შედგენილი ან უწყვეტი სინჯების აღება, მაგრამ არ არის გათვალისწინებული წყლის ნაკადში არსებული განსხვავება. მოცულობაზე დამოკიდებული სინჯამლებებით იღებენ იმავე ტიპის სინჯებს, ნაკადში არსებული განსხვავების გათვალისწინებით;

ბ) ავტომატური სინჯამლებებით შესაძლებელია სინჯების განაწილება სხვადასხვა მასალისაგან დამზადებულ ჭურჭელში, რომელსაც კონსერვაციისათვის დამატებული აქვს სხვადასხვა ნივთიერება;

გ) მდინარის ნაკადის კონტროლისა ან მონიტორინგისათვის გამოყენებული ინსტრუმენტული ზონდები დასაშვებია გამოყენებულ იქნეს სინჯის ასაღები ავტომატური მოწყობილობების ასამოქმედებლად;

დ) წყლის დიდი მოცულობის ასაღებად გამოიყენება ავტომატიზებული სისტემა, რომელიც საკონტროლებელი მაჩვენებლის კონცენტრაციის ადგილზე განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

მუხლი 30

1. სინჯის ასაღები მოწყობილობა მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრისათვის:

ა) სინჯების ასაღებად უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება მინის სტერილური ბოთლები ან პოლიმერული მასალის ერთჯერადი ჭურჭელი;

ბ) სინჯების ასაღები ჭურჭელი არ უნდა გამოყოფდეს ისეთ ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც იწვევენ მიკროორგანიზმების ინჰიბირებას ან ზრდას;

გ) სილრმიდან (მაგ., ტუბიდან ან წყალსაცავებიდან) სინჯების ასაღებად გამოიყენება 28-ე მუხლია, 1-ლ პუნქტი მითითებული ხელსაწყოების ანალოგიური მოწყობილობები. ბატომეტრები დამზადებული უნდა იყოს ორთქლითა და მშრალი ჰაერით სტერილიზაციისადმი გამძლე მასალისაგან;

დ) მთელი გამოყენებული აპარატურა, მათ შორის ტუმბოები და სატუმბი მოწყობილობები უნდა გაირეცხოს და არ უნდა წარმოადგენდეს მიკროორგანიზმებით დაბინძურების დამატებით წყაროს.

ე) მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრისათვის სინჯების შენახვისა და კონსერვაციის მეთოდები მოცემულია დანართი 1-ის მე-5 ცხრილში.

მუხლი 31

1. სინჯის ასაღები მოწყობილობა რადიოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრისათვის:

ა) სინჯების ასაღებად გამოიყენება 29-ე მუხლის, 1-ლ პუნქტში მითითებული ხელსაწყოების ანალოგიური მოწყობილობები. სინჯის აღება უნდა წარმოებდეს მინის ან პლასტმასის ბოთლებით, რომლებიც წინასწარ გარეცხილია აზოტმჟავით განზავებული სარეცხი საშუალებებით და შემდეგ გულმოდგინედ არის გამორეცხილი წყლით;

ბ) თუ მდინარეებში, ნაკადულებსა და ნახმარ წყლებში მოწყობილობების გამოყენებით წარმოებს რადიოაქტიურობის უწყვეტი კონტროლი, სინჯის აღება არ არის აუცილებელი.

მუხლი 32

1. სინჯის ასაღები მოწყობილობა გახსნილი გაზების (აქროლადი ნივთიერებების) განსაზღვრისათვის:

ა) გახსნილი გაზების ზუსტი განსაზღვრისათვის სინჯები აღებული უნდა იქნეს მხოლოდ ისეთი მოწყობილობის გამოყენებით, რომელიც სინჯს აგროვებს ჰაერის გადაადგილებასთან შედარებით, წყლის უფრო სწრაფი გადაადგილების ხარჯზე;

ბ) გახსნილი გაზების სინჯის ასაღებად ტუმბოების გამოყენებისას აუცილებელია წყალი ამოიტუმბოს ისეთი წნევით, რომელიც არ უნდა დაეცეს ატმოსფერულ წნევაზე მნიშვნელოვნად დაბლა. სინჯის ჩატუმბვა უნდა მოხდეს უშუალოდ საცავში ან ჭურჭელში;

გ) დასაშვებია გახსნილი ჟანგბადის განსაზღვრისათვის სინჯის აღება ბოთლების ან ხაპის გამოყენებით. ამასთანავე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს გახსნილი ჟანგბადის კონცენტრაციის ცვლილება წყლის გაზებით გაჯერების ხარისხის მიხედვით, სინჯისა და ჰაერის კონტაქტის გამო;

დ) ონკანიდან ან ტუმბოდან ბოთლებში სინჯის აღებისას, დრეკადი ინერტული მილი, რომლის საშუალებითაც წყალი მიეწოდება ჭურჭელს, უნდა სწვდებოდეს ჭურჭლის ფსკერს, ბოთლის ფსკერიდან სითხით შევსების უზრუნველყოფის მიზნით;

ე) ყინულის ფენით დაფარული წყლიდან გახსნილი ჟანგბადის სინჯის შეგროვებისას, თავიდან აცილებულ უნდა იქნეს სინჯზე ჰაერის გავლენა.

მუხლი 33. ბიოლოგიური სინჯების ასაღები მოწყობილობა

1. ფიტოპლანქტონის სინჯის ასაღებად გამოიყენება ბატომეტრი და პლანქტონის ბადე. წყალმარჩხ ადგილებში ბადის გამოყენებისას წარმოებს პლანქტონის ბადის ნავზე გამობმა, ღრმა ადგილებში – ტოტალური ჭერა ფსკერიდან ზედაპირისაკენ;

2. ზოოპლანქტონის შეგროვებისას, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, გამოყენებულ უნდა იქნეს სხვადასხვა კონსტრუქციის პლანქტონის ბადეები, რომელთა ჩაშვება ტივებიდან, ნავეებიდან და გემებიდან ხდება ხელით ან ჯალამბრის საშუალებით. მცირე ზომის პლანქტონის ბადეების გადაგდება დასაშვებია ნაპირიდანაც, გრუნტის ამოხაპვის გარეშე;

3. ზოოპლანქტონის სინჯის აღება წარმოებს შემდეგი მეთოდებით: კომბინირებულად ხდება წყლის ამოხაპვა და წყალშივე ერთდროულად პლანქტონის გამოყოფა (განცალკევება) პლანქტონის ბადის ანუ პლანქტონის ამომხაპველის მეშვეობით; განცალკევებულად

წარმოებს წყლის ამოხაპვა და შემდგომ წყლიდან პლანქტონის გამოყოფა ბადეში ფილტრაციით ან დალექვით;

4. სინჯის აღების მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია წყალსატევის ტიპზე, მის სიღრმესა და ზომებზე;

5. ზოოპლანქტონის რაოდენობრივი შეგროვებისათვის, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოიყენება რაოდენობრივი ბადეები, ბატომეტრები, სხვადასხვა ჭურჭელი (ტოლჩა, ვედრო და სხვა);

6. პერიფიტონის სინჯების აღება წარმოებს ორი მეთოდით – სინჯის აღება ბუნებრივი სუბსტრატებიდან და ხელოვნური სუბსტრატების საშუალებით. ბუნებრივი სუბსტრატებიდან სინჯის აღება ხდება საფხეკის, დანის, სკალპელის, პინცეტის ან გალესილი სუფრის კოვზით. ხელოვნურ სუბსტრატად იყენებენ სასაგნე მინას, რომელსაც ამაგრებენ ვერტიკალურად, გამდინარე წყალსატევში დინების პარალელურად, დეტრიტის, ტალახის, ნაგვის დალექვის თავიდან აცილების მიზნით. მინას დგამენ პენოპლასტის ტივტივაში (რეზინის საცობებში), ტივტივა მაგრდება ტროსზე. ექსპოზიციის ხანგრძლივობა განისაზღვრება შესასწავლი ობიექტის გეოგრაფიული ადგილმდებარეობით, წყლის ხარისხით, წლის სეზონითა და კვლევის მიზნით, მაგრამ არანაკლებ 14 დღე-ღამის განმავლობაში.

7. მაკროფიტების სინჯის შეგროვებისას ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, წყლის სიღრმიდან გამომდინარე, გამოიყენება შემდეგი მოწყობილობები: წყლის ფოცხი სამ და ექვსკბილიანი (არა უმეტეს 2-3 მეტრი წყლის სიღრმისას), ორმხრივი წყლის ფოცხი (არა უმეტეს 2,5-3 მეტრი წყლის სიღრმისას), ეკლიანი მავთულის გორგლები ტვირთით, სხვადასხვა კონსტრუქციის მიწახაპიები, ლითონის, ხისა და ნებისმიერი მასალისაგან დამზადებული საჭრეტი მილები ან რუპორი (ნიღაბი აკვალანგისტებისათვის);

8. სინჯების რაოდენობრივი აღებისათვის დამატებით გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ჩარჩოები 1; 0,5 და 0,25 მ² ფართობით და ხისაგან, ალუმინისაგან, სინთეტიკური ან სხვა მასალისაგან დამზადებული სხვადასხვა ზომის, კვადრატული, სწორკუთხა, მრგვალი მილები, მათი ტივტივის უნარის გათვლით;

9. ფიტომასის სინჯის აღებისათვის გამოიყენება შემდეგი მოწყობილობები:

ა) ცელი 20-25 სმ სიგრძის გალესილი პირით, მზადდება ჩვეულებრივი ცელისაგან, რომელიც ბოლოში კუთხით არის წაკვეთილი;

ბ) სხვადასხვა კონსტრუქციის ბარდის ამომხაპველები (ამოსაჭრელები), „ლერწამის მაკრატლები“;

10. მაკროზოოპლანქტონის სინჯის აღების მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია მთელ რიგ პარამეტრებზე: წყლის სიღრმეზე, ნაკადის მიმართულებაზე, ასაღები ობიექტის სახეობაზე და ა.შ. სინჯის ასაღებად გამოიყენება ბადეები, საფხეკები, ფსკერმხაპავები ან დიდი ბადეები და შეგროვების სხვა საშუალებები;

11. თევზები შესაძლებელია შეგროვდეს აქტიურად და პასიურად, გავრცელების ადგილისა და სინჯის აღების მიზნიდან გამომდინარე. 2 მეტრამდე სიღრმის ნაკადულებსა და მდინარეებში სინჯის აღებას აწარმოებენ თევზჭერის ელექტრული მეთოდით, მუდმივი დენის ერთგვაროვანი ველის, მუდმივი და ცვალებადი დენის იმპულსური ველის გამოყენებით. დიდ მდინარეებზე სინჯის აღებისათვის გამოიყენება სხვადასხვა მექანიზმი.

12. მდორე და დამდგარ წყლებში თევზჭერისათვის მიზანშეწონილია ბადის გამოყენება. ბადეები თევზის აქტიური ჭერისათვის (კალათისმაგვარი ბადე, ჩანთისებური ბადე, სათევზაო ტრალი ბადე) გამოიყენება წყლებში, სადაც არ არის შემოღობვა. ბადეები პასიური ჭერისათვის (ანკესები, სათევზაო ტრალი ბადე ან თევზჭერის ბადეები და სხვა მახეები) გამოიყენება იქ, სადაც გვხვდება გადაღობვა ან წყალმცენარეები. პლატინაში ჩაშენებული სპეციალური მახეები გამოიყენება იმ თევზებისათვის, რომლებიც განიცდიან მიგრაციას;

13. თევზის სინჯის აღების მეთოდიკის შერჩევა დამოკიდებულია მოწყობილობაზე (ბადის უჯრედების ზომაზე, ელექტრული ველის მახასიათებლებზე), თევზის ჩვევაზე, თევზის

ჭერისათვის ელექტრული მახეების გამოყენების საკანონმდებლო შეზღუდვაზე, სინჯის მდგომარეობაზე (ცოცხალი ან მკვდარი).

14. ბიოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრისათვის სინჯების შენახვისა და კონსერვაციის მეთოდები მოცემულია დანართი 1-ის მე-6 ცხრილში.

თავი IX

სინჯის ასაღები ჭურჭლის მომზადების წესები

მუხლი 34.

1. ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრისათვის სინჯის ასაღები ჭურჭლის მომზადება ხდება შემდეგნაირად:

ა) სინჯის ასაღები ჭურჭელი გულმოდგინედ უნდა გაირეცხოს, სინჯის შესაძლო დაბინძურების მინიმუმამდე შესამცირებლად. გასარეცხად გამოსაყენებელი ნივთიერების ტიპის შერჩევა დამოკიდებულია განსასაზღვრ მაჩვენებლებსა და ჭურჭლის მასალაზე;

ბ) მინის ახალ ჭურჭელს მტვრისა და შესაფუთი მასალის კვალის მოსაცილებლად ჯერ უნდა გამოეწვოს ხსნარი სარეცხი საშუალებით და შემდგომ დისტილირებული ან დეიონიზებული (დეიონირებული) წყალი. ჭურჭელი უნდა შეივსოს აზოტმჟავას ან მარილმჟავას 1 მოლ/დმ³ ხსნარით, გაჩერდეს არანაკლებ 1 დღე-ღამისა და შემდგომ გულმოდგინედ გაირეცხოს დისტილირებული ან დეიონიზებული (დეიონირებული) წყლით;

გ) დაუშვებელია ფოსფატების, სილიციუმის, ბორისა და ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების განსაზღვრისათვის ასაღები ჭურჭლის გარეცხვა სარეცხი საშუალებების ხსნარების გამოყენებით;

დ) გამოყენებული მინის ჭურჭელი უნდა გაირეცხოს ქრომის ნარევით, გულმოდგინედ გამოეწვოს წყალი, დამუშავდეს წყლის ორთქლით, შემდეგ გამოეწვოს დისტილირებული ან დეიონიზებული (დეიონირებული) წყალი და გაშრეს მშრალი ჰაერის ნაკადით. ასევე დასაშვებია ქრომის ნარევის ნაცვლად კონცენტრირებული გოგირდმჟავის გამოყენება. ქრომის ნარევის გამოყენება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ სინჯის აღება და შენახვა ხდება ქრომისა და სულფატების განსაზღვრის მიზნით;

ე) ბიოქიმიური ანალიზის ჩასატარებლად ბოთლები დამატებით უნდა გაირეცხოს აზოტმჟავას განზავებული ხსნარით, შემდეგ გამოეწვოს დისტილატი, მძიმე მეტალების ან ქრომატების ნალექის მოცილების მიზნით;

ვ) პლასტმასის ჭურჭელს უნდა გამოეწვოს აცეტონი, განზავებული მარილმჟავა, გულმოდგინედ გაირეცხოს წყლით, გამოეწვოს დისტილირებული ან დეიონიზებული (დეიონირებული) წყალი და გაშრეს ჰაერის ნაკადით.

2. ორგანული ნივთიერებების განსაზღვრისათვის სინჯის ასაღები ჭურჭლის მომზადება ხდება შემდეგნაირად:

ა) სინჯის ასაღებად გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ მინის ჭურჭელი, უმჯობესია ყავისფერი მინის;

ბ) ჭურჭელი უნდა გაირეცხოს სარეცხის საშუალებიანი ხსნარით, გულმოდგინედ გამოეწვოს დისტილირებული ან დეიონიზებული წყალი, გაშრეს საშრობ კარადაში 105°C 2 სთ-ის განმავლობაში, გაციების შემდგომ გამოეწვოს დისტილირებული ან დეიონიზებული წყალი და საბოლოოდ გაშრეს გასუფთავებული ჰაერის ნაკადით ან აზოტით;

გ) ორგანული ნივთიერებების კვალის განსაზღვრისათვის გამოყენებული მინის ჭურჭელი უნდა გაიწმინდოს მხოლოდ არაორგანული ნივთიერებებით. თუ ნივთიერების კვალის რაოდენობის აღმოჩენა წარმოებს ექსტრაჰირებით, დასაშვებია მინის ჭურჭლის დამუშავება ექსტრაგენტით;

დ) თუ საკვლევი წყალი შეიცავს (ან შესაძლოა შეიცავდეს) ქლორს ან ქლორამინს, სტერილიზაციის წინ საკმარისია ჭურჭელში 3%-იანი ნატრიუმის თიოსულფატის დამატება

ნარჩენი ქლორის ინაქტივაციის მიზნით. დამატებული ნივთიერების რაოდენობა დამოკიდებულია ჭურჭლის (ბოთლის) ზომაზე, (მაგ., 170 მლ ტევადობის ჭურჭელს – 0,1 მლ);

ე) ჭურჭლისა და გაწმენდის მეთოდის სწორედ შერჩევის მიზნით უნდა წარმოებდეს ცრუ სინჯების აღება, კონსერვაცია და ანალიზი.

3. სინჯის ასაღები ჭურჭლის მომზადება მიკროორგანიზმების განსაზღვრისათვის უნდა განხორციელდეს შემდეგი თანამიმდევრობით:

ა) ჭურჭელი უნდა გაირეცხოს ნეიტრალური სარეცხი საშუალებით, გულმოდგინეთ გამოველოს დისტილირებული წყალი სარეცხი საშუალებისა და სხვა გარეშე მინარევების ბოლომდე მოსაცილებლად და გაშრეს;

ბ) სინჯის ასაღები ჭურჭელი უნდა დაიხუროს სილიკონის ან სხვა საცობით (ბამბა-ნარმის საცობის გარდა), აგრეთვე ფოლგისაგან, სქელი ქაღალდისაგან და სხვ. დამზადებული ქუდებით;

გ) მილესილსაცობიან ჭურჭელში სტერილიზაციის წინ საცობსა და ყელის კედელს შორის უნდა ჩაიდოს თხელი ქაღალდის ზოლი;

დ) ახალმა საცობმა უნდა იდუღოს 30 წუთი, 2%-იანი ნატრიუმის კარბონატის ხსნარში და ხუთჯერ გირეცხოს ონკანის წყლით (დუღილი და გარეცხვა უნდა გამორდეს ორჯერ), შემდეგ უნდა იდუღოს დისტილირებულ წყალში 30 წუთი, გამოშრეს, შეიხვეს ქაღალდში ან ფოლგაში და გასტერილდეს ორთქლით;

ე) გამოყენებული საცობი უნდა გაუსნებოვნდეს ონკანის წყლსა და ნეიტრალურ სარეცხ საშუალებაში 30-წუთიანი დუღილით, შემდეგ გაირეცხოს ონკანის წყლით, გამოშრეს, აეწყოს და გასტერილდეს;

ვ) სინჯის ასაღები ჭურჭლის სტერილიზაცია უნდა წარმოებდეს საშრობ კარადაში 160-170°C ტემპერატურაზე, მითითებული ტემპერატურიდან 1 სთ-ის განმავლობაში. გასტერილებული ჭურჭლის საშრობი კარადიდან გამოღება უნდა მოხდეს 60°C-ზე ქვემოთ გაციების შემდეგ;

ზ) ჭურჭელი, რომელიც შეიცავს იმ მასალების ელემენტებს, რომლებიც იშლება 160 °C -ზე, უნდა გასტერილდეს ორთქლის სტერილიზატორში $121 \pm 2^{\circ}\text{C}$ (10^5 პა) 20 წუთის განმავლობაში;

თ) დიდი მოცულობის ჭურჭლის (რძის მათარა, მეტალის ვედროები და სხვა) დამუშავება დასაშვებია ეთილის სპირტის საშუალებით შიგნითა ზედაპირის გამოწვით.

4. სინჯის ასაღები ჭურჭლის მომზადება: რადიოაქტიური დაბინძურების განსაზღვრისათვის ჭურჭელი უნდა გამოირეცხოს სარეცხი საშუალებით, აზოტმჟავითა და გულმოდგინედ გამოველოს დისტილატი.

თავი X

მოთხოვნები სინჯების აღებისას უსაფრთხოების წესების დაცვაზე, ტარნსპორტირებასა და ლაბორატორიაში მიღებაზე

მუხლი 35

1. სინჯის აღების პროგრამისა და მეთოდების შემუშავებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს უსაფრთხოების წესები და მათ შესახებ ინფორმირებულ იქნეს სინჯის ამღები პერსონალი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

2. წყლის სინჯისა და ფსკერის ნადების აღების განსხვავებული პირობების გამო, აუცილებელია ფიზიკური ტრავმების საწინააღმდეგო ღონისძიებების, ტოქსიკური გაზებით მოწამვლისა და ტოქსიკურ ნივთიერებებთან კონტაქტის თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების გატარება.

3. მომსახურე პერსონალისა და მოწყობილობების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია კლიმატური პირობების გათვალისწინება, წყლის დიდი ობიექტებიდან სინჯის აღებისას სამაშველო ჟილეტებისა და დამზღვევი თოკების გამოყენება, ყინულის ქვემიდან სინჯის აღებისას იმ უბნების მონიშვნა, სადაც ყინულის თხელი

საფარველია. თუ გამოიყენება რაიმე სახის საყვინთი აპარატი, აუცილებელია ამ აპარატთან მუშაობის უსაფრთხოების წესების მკაცრად დაცვა.

4. სინჯის აღებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა გემის სიმყარე (გამძლეობა), ნებისმიერ შემთხვევაში მიღებულ უნდა იქნეს სიფრთხილის ზომები შემხვედრ გემებთან, მაგალითად, მიმდინარე სამუშაოების შესახებ გამაფრთხილებელი აღმების აღმართვით.

5. სინჯის აღება საშიში ადგილებიდან შეძლებისდაგვარად თავიდან უნდა იქნეს აცილებული, მაგალითად, ნაშალი ან ფლატე ნაპირებიდან. თუ ეს გამორიცხულია, მაშინ სამუშაო უნდა შეასრულოს ბრიგადამ, რომელსაც შეუძლია შესაბამისი უსაფრთხოების ზომების გატარება და არავითარ შემთხვევაში ერთმა ადამიანმა. თუ ეს პირობა ვერ სრულდება, სინჯის აღება უნდა მოხდეს ადგილიდან.

6. სინჯების უცვლელი და ხშირი აღებისას უნდა განისაზღვროს მისადგომი ადგილები, საიდანაც აღება შესაძლებელი იქნება ნებისმიერ დროს და სადაც არ არსებობს ბუნებრივი საშიშროება, მაგალითად, შხამიანი მცენარეები და სხვა.

7. მდინარის ნაპირას აპარატურისა და მოწყობილობების განლაგებისას უნდა შეირჩეს ისეთი ადგილები, რომლებიც არ იტბორება.

8. სამრეწველო ნახმარი წყლების სინჯის აღებისას, საფრთხე დაკავშირებულია ნახმარი წყლების შედგენლობაში ტოქსიკური და აალებადი ნივთიერებების შესაძლო არსებობასთან, აგრეთვე ამებების, პარაზიტი ჭიების არსებობასთან და სხვა.

9. აირწინალები, რესპირატორები, სარეანიმაციო აპარატურა და სხვა დამცავი მოწყობილობები უნდა იმყოფებოდეს პერსონალის განკარგულებაში იმ შემთხვევაში, თუ მას მუშაობა უხდება დაბინძურებულ ატმოსფეროში. სახიფათო ზონაში მუშაობის დაწყებამდე აუცილებელია ჟანგბადის, ორთქლისა და ტოქსიკური გაზების შემცველობის გაზომვა, თუ მოცემულ ზონაში არსებობს ამ ნივთიერებებით დაბინძურების საშიშროება. ორთქლის ან ცხელი წყლის სინჯის აღებისას მიღებულ უნდა იქნეს შესაბამისი უსაფრთხოების ზომები და გამოყენებული უნდა იქნეს სინჯის აღების შესაბამისი ღონისძიებები.

10. რადიოაქტიური სინჯების აღება და დამუშავება მოითხოვს უსაფრთხოების შესაბამისი ზომების გატარებასა და სინჯის აღების შესაბამისი მეთოდების გამოყენებას.

11. უშუალოდ წყალში ან მის სიახლოვეს ელექტროხელსაწყოების გამოყენებისას, სამუშაო ადგილი უნდა შეირჩეს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული დენით დაზიანება.

12. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საფრთხე, რომელიც არსებობს განსაზღვრული კონსერვანტების გამოყენებისას (მაგალითად: მჟავები, ტუტეები, ვერცხლისწყლის ქლორიდი (II) ქლოროფორმი), ამიტომ რეკომენდებულია მათი ფრთხილი გამოყენება.

13. სინჯის ამღები ოპერატორები გაფრთხილებულ უნდა იქნენ ამ საშიშროებებისა და მათგან დაცვის ღონისძიებების თაობაზე.

მუხლი 36. მოთხოვნები სინჯის ტრანსპორტირებაზე

1. დაცულ უნდა იქნეს ცარიელი ტარის სინჯის აღების ადგილამდე და შევსებულის უკან, ლაბორატორიაში ტრანსპორტირების წესები.

2. სინჯების შემცველი ჭურჭლის შეფუთვამ გავლენა არ უნდა მოახდინოს სინჯების შედგენილობაზე, ტრანსპორტირებისას ადგილი არ უნდა ჰქონდეს განსასაზღვრი მაჩვენებლების დანაკარგს, ასევე ჭურჭელი დაცულ უნდა იქნეს გატეხვისა და გარე დაბინძურებისაგან.

3. ტრანსპორტირებისას ჭურჭელი უნდა მოთათავსდეს ტარაში (კონტეინერი, ყუთი, ბუდე), რათა თავიდან იქნეს აცილებული მისი დაბინძურება და დაზიანება. სინჯის მთლიანობის შენარჩუნებისა და ტრანსპორტირებისას, შესაძლო დაზიანების შემცირების მიზნით, ტარა ტრანსპორტირებისათვის შესაძლებელია დამზადებულ იქნეს სხვადასხვა მასალისაგან (პენოპლასტი, გოფრირებული მუყაო და ა.შ.). ტარას კონსტრუქცია ხელს უნდა უშლიდეს ჭურჭლის თვითნებურ გახსნას.

4. ყუთების სახურავები გადახვეულ უნდა იქნეს ჩვეულებრივი საიზოლაციო მასალით, ტარის საცობზე ზეწოლის აცილების მიზნით.

5. სასწრაფო გამოკვლევებს დაქვემდებარებული სინჯები ცალკე უნდა დაჯგუფდეს და გაიგზავნოს ლაბორატორიაში.

